



# ახალი პროექტებისთვის თანხა გამოიყო



რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაამატებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გზების ასფალტბეტონის საფარის დაგების სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა.

კერძოდ, საავტომობილო გზები კეთილმოეწევა ქალაქის ტერიტორიაზე ლალიძის, ვახუშტის, ანდრო თევზაძის, ახალგაზრდობისა და ფარნავაზის ქუჩებზე.

შესყიდვების განყოფილების უფროსის, ირაკლი სულავას განმარტებით 133 000 ლარი დაიხარჯება ვახუშტისა და ლალიძის ქუჩების მოწყობაზე, ხოლო ანდრო თევზაძის, ახალგაზრდობისა და ფარნავაზის ქუჩებს 190 000 ლარი მონმარდება.

ირაკლი სულავა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი: "ზემოაღმოსავლელი სამუშაოების შესყიდვებზე გამოყოფილი თანხების მიღებისთანავე მონდა ტენდერების გამოცხადება, რათა დროულად და მინიმალურ ვადებში მოხდეს გზების დაგება. ტენდერები დასრულებული უნდა იყოს 11 სექტემბრისთვის, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება მოხდება 20 სექტემბრისთვის. ამის შემდეგ ინტენსიურად დაიწყება ზემოაღნიშნულ ქუჩებზე გზების დაგება".

6060 ნახტავი



# საინციფაციო საოლქო საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციებში აქტიური მუშაობა დაიწყო

საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნების თარიღი გამოაცხადა. გიორგი მარგველაშვილის სამართლებრივი აქტის განკარგულების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017 წლის 21 ოქტომბერს გაიმართება.

22 აგვისტოდან საოლქო საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციებში აქტიური მუშაობა დაიწყო.

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში პირველები გომის ადმინისტრაციული ერთეულიდან მოვიდნენ. საინციფაციო ჯგუფმა სურველი გამოიტყა, დაერეგისტრირებინა მათთვის სასურველი კანდიდატი.

საინციფაციო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კანდიდატებს საშუალება ეძლევათ, 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში დაერეგისტრირდნენ და საარჩევნო კამპანია დაიწყო.

უშუალოდ საინციფაციო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კანდიდატების რეგისტრაციის საბოლოო ვადა 25 აგვისტოს 18 საათია. ამ დროისათვის

№54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში დასრულდა საინციფაციო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კანდიდატის რეგისტრაციის ვადა. სულ საოლქო საარჩევნო კომისიაში 6-მა საინციფაციო ჯგუფმა გაიარა რეგისტრაცია. აქედან 2-მა ქალაქის №54/01 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატად გაიარა რეგისტრაცია, №54/05 გომის ადმინისტრაციულ ერთეულში 3 კანდიდატი, ხოლო №54/09 იანეთში 1 კანდიდატი გადის რეგისტრაციას.

6060 ნახტავი



# საარჩევნო სუბიექტების სავსაფაფარი

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის/მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გახეთი "სამტრედიის მაცნე" ინფორმაციას საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის № აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გახეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გახეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გეკარდს. თითოეულ სუბიექტს გახეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის დირეგულირება 200 ლარს შეადგენს.

# თავა ბაგვაშვილი

ისეთი, ვინმეს სასწრაფოდ სასწრაფოს გამოძახება რომ დასჭირდეს, არაფერია, მაგრამ 112-ის ერთიანი ქსელის გადაჭიდვით, აუცილებლად დედაქალაქს რომ უნდა ვაგებინო, ვომში, კორმალიში, ოფიოსა თუ სამტრედიისში ვის რა წამოსტყვიდა, სასწრაფო დახმარება სასწრაფოდ ცოტა ძნელი გამოისახებოდა. "დაკითხვას", რომ გაუძლო ვის რა, რატომ და როგორ სტეკვა, თუ სამედიცინო არა, საფერული კურსები მაინც უნდა გქონდეს დაბოლოებული. ამასობაში ან მისი მოსულიერდება ავადმყოფი, ან ... ამის შემდეგ თბილისიდან გამოძახებული სასწრაფო დახმარება ან სამტრედიისში, ხშირად მისივე შენობიდან 100 მეტრში მდის "სასწრაფოდ", ან მას მერე, რაც 112-ის ბიუროდან კორმალიის ნაცვლად ვორმალიში და პირაქით წასვლის სწორ გზაზე დააყენებენ. თუქცა ეს სხვა თემაა, სხვა საკითხია და არანაირი კავშირი არ აქვს იმასთან, რაც ამჯერად უნდა ვაგვაცნოთ მკითხველს.

საკრებულოს სხდომაზე უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, რომელსაც მხოლოდ ოპოზიცია არ დაეთანხმა. იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახ-

# სასწრაფოდ სასწრაფო



# წინილი იურიდიული საჭირო კომპანის ბანაუ

ალ შენობაში ყოფილი ტუბ-დისპანსერის ტერიტორიაზე გადატანას გულისხმობს. ეკონომიკის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიძე აცხადებს, რომ "ორგანიზაციას, რომელიც სასწრაფო დახმარების შენობის აგების პასუხისმგებლობას იტარებს, ბუნებრივია, ტენდერი გამოავლენს. მას ყოფილი ტუბის ტერიტორია მზად უნდა დახვდეს. ეს კი, იქ ამჯერად არსებული შენობის დემონტაჟის და ნარჩენების გატანას ნიშნავს. ამისთვის აუქციონი გამოცხადდება, რომელშიც მთლიანად მასალების შემსყიდველი კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას."

სახელმწიფომ შენობის ასაგებად ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილე-

ობით 161 ათასი ლარი გამოყო. აქედან 8 500 ლარს ადგილობრივი ბიუჯეტი, ხოლო დანარჩენს, 152 500-ს რეგიონალური განვითარების ფონდი დააფინანსებს.

რაც სამტრედიელებს თავი ახსოვთ, სასწრაფო დახმარების შენობა იმ ტერიტორიაზეა, სადაც ამჯერად ფუნქციონირებს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რითა გამოწვეულია მისი ადგილმონაცვლეობა, მით უმეტეს, რომ ჯერ ისევ ახლო წარსული პქვია იმ დროს, როცა მისთვის ახალი, კეთილმოწყობილი და შესაფერისი შენობა აიგო. მართალია, დადასტურებულია ვერა, მაგრამ როგორც კულუბებში გავრევიეთ, ეს სასწრაფო დახმარებისთვის განკუთვნილი შენობის კერძო ტერიტორიაზე ფუნქციონ-

ირებოდა გამოწვეული. ე. ი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ის ტერიტორია, რომელზეც კომუნისტებიდან მოყოლებული ეს დაწესებულება ფუნქციონირებს, გაიფიდა. თუმცა, როგორც ამ წერილის მოზადებისას მუნიციპალიტეტის საკადასტრო რუქაზე აღმოვაჩინეთ ბატონი ნოეს მეშვეობით, ტერიტორიის მფლობელად სახელმწიფოა მითითებული. გაყიდვის აუცილებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე სასაუბროდ კომპეტენტურ პირად ეკონომიკის სამსახურის უფროსმა მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი, ნიკა სანაძე დაგვისახელა. ამჯერადაც, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, ბატონმა ნიკამ კითხვა უპასუხოდ დატოვა სიტყვებით: "კომენტარები გამგებელმა და მისმა მოადგილეებმა მოგცენ." ამიტომ, სამართლებრივი კუთხით რატომ განხა აუცილებელი აქამდე არსებული ჯერ ისევ ვარგისიანი შენობის მაგიერ, ახლის ახალ ტერიტორიაზე აგება, ოფიციალურ დონეზე, ჩვენთვის უცნობია.

სამაგიეროდ პასუხები აქვს ოპოზიციას. მათ საწინააღმდეგო კომენტარს შემოთავაზებთ. საკრებულოს წევრი მამუკა ბიბლიევილი ხელისუფლებაში ყოფნის წლებს იხსენებს და აცხადებს: "ხელისუფლების მიხედვით არის ის, რომ სასწრაფო დახმარების არსებულ შენობას ვადა ადევს. 2011 წელს სამედიცინო დაწესებულებები ერთ სამედიცინო შპს-ედ გაერთიანდა. სამტრედიის სინამდვილეში მასში შევიდა სასწრაფო დახმარება, მაშინ "03" ერქვა, შპს "მომავალი" რეინციფაციის საავადმყოფო, შპს "ფსიქიატრი" და სხვა ვეღვა სხვა სამედიცინო დაწესებულება. შპს "ფსიქიატრის" თავ-

ნამშრომლებს მანამდე ჰქონდათ შეტანილი სარჩელი სასამართლოში სახელეუასო დავალიანების აუნაზღაურებლობის თაობაზე. სასამართლო გადაწყვეტილებით გაერთიანებული შპს-ეს ქონებას ვადა დაელო. მათ შორის მოხვდა სასწრაფო დახმარების ქონებაც. თუმცა, შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ცალკეული ორგანიზაციების, რომლებიც შენობაში არ იყვნენ "ფსიქიატრთან", ქონება გამოითხოვა ეკონომიკის სამინისტროსგან. მაგალითად: შპს "მომავალი", რეინციფაციის საავადმყოფო და სხვები. სასწრაფო დახმარების ქონება ამჯერადაც დაედაღებულა ისე, რომ არანაირ "ბრალში" არ არის კონკრეტულ სასამართლო ბრალდებასთან. ოდესმე ხომ უნდა აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე ხომ არ შეიძლება?! ამიტომ ჩვენი წინადადება გახლდათ, ჯანდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროები ჩარეულიყვნენ საქმეში და 160 ათასად ახალი შენობის აგებას, 50 ათასი გადაეხადა სახელმწიფოს. ვადადის თანხაც მოიხსენებოდა, გაყინული ხელფასებიც დარიგებოდა და ნაკლები ფულიც დაიხარჯებოდა ბიუჯეტიდან. აქ სხვა მიზეზი არსებობს და ეს მიზეზი დაუდასტურებელი ინფორმაციით გახლავთ ის, რომ ქვეყნის მასშტაბით მსგავსი მშენებლობები პარლამენტარ არჩილ თალაკვაძის ძმის სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ისინი უპრობლემოდ გადაეღონ ამ სამშენებლო კომპანიის ბალანსზე."

ოპოზიციის ამ განცხადების საპასუხოდ, სამწუხაროდ, ვერაფერს ვთავაზობთ, რადგან გამგეობის იურიდიულ სამსახურში კომენტარი არ გააკეთეს.

# გაბეღეი ნეხილ ავითანიკ სეუხას მოუხიდეუე პასუხზე

იმ “მოყრძალეუი” წერილის პასუხად მინდა საზოგადოებას ვესაუბრო, სამტრედელეებს, რომლებმაც არ იციან პოლიტიკური კულუარებში რა და როგორ ხდება, მათ, ვინც ნიშნისმოგებით ელოდებიან, რას უპასუხებენ ემზარ შუბლაძე ან უკვე ყოფილ თანაგუნდელს და მათ, ვისაც სიმაღლე აინტერესებს. თავად ავითანიკ სეუხასთან სასაუბრო, მეტადრე საპასუხო, არაფერი მაქვს. საზოგადოებამ პოლიტიკური შეხედულებების, ღირებულებების მიუხედავად და მათი გათვალისწინებითაც იცის, ვინ ვინ არის! ჩემი “პასუხი” იქნება განმარტება საზოგადოებისთვის და მერე მათ გადაწვევით, თურმე, ვინ როგორ სუნთქავს! პროფესიით იურისტი ვარ, ფაქტებით საუბარს ნაჩვევი და ამჯერადაც ამ პროფესიულ ჩვევას მივყვარები სიმაღლის გამოსაშვარაველად. “იმან თქვა, ამან თქვა” ავითანიკ სეუხას სტილია, ასე სწევია ხოლმე, ხმების დაყრის წყალობით არასასურველ პიროვნებაზე კომპრომატების შეგროვება და მერე ამ ხმებით სპეკულირება.

როგორც თავად აღნიშნავს, 2012 წლის არჩევნების შემდეგ მე პარტიის თავმჯდომარე გავხდი. პარტიის თავმჯდომარე კი ასე და ამიტომ გავხდი: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამარჯვებულ “ქართულ ოცნებას” ადგილზე ხელისუფლების ხელში აღება უნდოდა. მაშინდელი საკრებულის უმრავლესობამ გამგებლის თანამდებობაზე ხმა ავითანიკ სეუხას მისცა და იგი გამგებელი გახდა. საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი, უკვე როგორც გამგებლის წინააღმდეგ დაწყებული პერმანენტული აქციები მოთხოვნით – “გადადგინა ავითანიკ სეუხა!” აქციების დაწყებიდან ორიოდ დღეში მისივე კაბინეტში ვისხედით, გუბერნატორმა რომ დაურეკა და მასთან სასაუბროდ ოთახიდან გავიდა. გუბერნატორი მაშინ ვახტანგ ბაღვაძემ გახლდათ. საუბარი დაასრულეს თუ არა, ორ წუთში მე დაიბრუნა გუბერნატორმა და მითხრა, რომ პარტიის თავმჯდომარე უნდა გავხდარიყავი. გამაფრთხილდა, რადგან პარტიის თავმჯდომარე ავითანიკ სეუხა იყო. გუბერნატორმა თქვა, რომ ამერიიდან ასე არ იქნებოდა და ეს გადაწყვეტილება მან მიიღო ავითოსთან შეთანხმებით. ერთი სიტყვით, ავითანიკ სეუხამ იმთავითვე მოიშორა “ნაციონალური მოძრაობა” და მოისუფთავა ველი იმ იმედით, რომ ახლად არჩეულ ხელისუფლებასთან თავად დალაგებდა ურთიერთობებს, ან მათგან ექნებოდა რამე შემოთავაზება. რაიმე უნდა ორგანიზაციის თავმჯდომარე თანამდებობიდან ისე წავიდა, ადგილზე არავინ ჩაუყენებია საქმის კურსში, იქამდე არც მე, პარტიის საორგანიზაციო მდივანი. მაშინ ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეებს უშუალოდ პარტიის გენერალური მდივანი ნიშნავდა, 2013-14 წლებში შემოვიღეთ არჩევითობა.

ავითანიკ სეუხას მისამართით აქციები არ ცხრებოდა და სულ უფრო მასშტაბურ ხატეს იღებდა. საქმე სასამართლომდე მივიდა, გამგებლის არჩევის წესის დარღვევის ბრალდებით სარჩელი სასამართლოში კობა ძიძიყაშვილმა, იმედგაგავამ და მიხეილ ლეყავამ შეიტანეს. ავითანიკ სეუხას სასამართლომ შეუწერა უფლებამოსილება. ვადასტურებ, ჩემი, გვივი დაღანიძის და თავად მისი მოლაპარაკების შედეგად გამგებლის მოვალეობის შესრულება ავითანიკ სეუხას მიერ დაეკავა, რომელიც იმხანად გამგებლის მოადგილე გახლდათ. კვლავ მისი ხასიათის თავისებურებას მინდა გავუხსნავ ხაზი – ყოველთვის ის უნდა აყურო, რაც მას მიანიჭა სწორად. როცა ავითანიკ თაღუაძემ რაღაც ისე არ გააკეთა, როგორც მას უნდოდა, აითვალწუნა და ბრალი “ქართულ ოცნებასთან” თანამშრომლობაში დასდო, დაძინებით მოითხოვდა

მის გათავისუფლებას. ამის პარალელურად სხვადასხვა ინსტანციაში მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა. 2013 წლის დეკემბერში უზუნაყის სასამართლოდან, რომლის განაჩენიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მოვიდა გადაწყვეტილება, რომ ავითანიკ სეუხას არჩევის პროცედურის დარღვევის გამო, უარი ეთქვა გამგებლის თანამდებობაზე ადგილზე. მისი სურვილი, რომ იგი აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა ამ თანამდებობას, უცვლელად და ურყევად გაიძლიერა. მე მასთან ერთად ვესაუბრე მამუკა ჩხიროძეს და იგი აბაშაში გავგზავნეთ, სადაც არჩეული გამგებელი სასამართლომ თანამდებობიდან ვერ გაათავისუფლა. გვიხილდა, იქედან ჩამოეშინა დაწერილებითი ინფორმაცია და ყველა ნიუანსი, რა პროცედურები გათარეს ამისთვის. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მიჩვენეს ბატონი ავით და მეკითხება, როდის ვაპირებდით გამგებლად მის დანიშვნას. მე მამუკა ჩხიროძესთან გადაურეკე იმის დასადგენად, რა ამბავი ჩამოიტანა აბაშიდან და რატომ დროზე არ გავგაგებინა იგი. დადასტურების მამუკა ჩხიროძე, რომ მითხრა, აბაშიდან ყველა საჭირო დოკუმენტი ჩამოვიტანე, მაგრამ ავითანიკ სეუხამ მითხრა, რომ ამ საქმეს ასე არ მოველება და არაა ესენი საჭირო. ამასთანავე, კვლავ დაქინებით ითხოვდა, ავეყრას გამგებლად იმ სქემით, რომელიც მას ჰქონდა და რომელიც სამართლებრივად სწორი არ იყო. ის კი მდგომარეობა იმამი, რომ საკრებულოს უნდა დაეშვა გამგებლის მოადგილის კიდევ ერთი შტაბი. ამტკიცებდა, კანონი ამას არ ზღუდავს, არადა, ზღუდავდა, სამ მოადგილეს მეთუ არ შეიძლება. ხელოვნურად უნდა შექმნილიყო შტაბი. ეს კი ნიშნავდა, რომ პროკურატურა ამ განცხადებებს ჩვეულებრივად გადაუღებდა ქსეროვლებს და მე სამართალში მიმეცემდნენ. ამანაც თანახმა გახლდით, ოღონდ სამართლებრივად სწორი ყოფილიყო გადაწყვეტილება და საკრებულოს სხვა წევრები არ დაზარალებულიყვნენ. ეს არ გახლდათ კანონმდებლობით მიღებული წესი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად ვინმეს დანიშვნისა. ბუნებრივია, ეს ამბები პარტიის იმერეთის რეგიონალური თავმჯდომარის, გონა კუპრაავას ყურადღებაც მივიღა, რომელიც უთხრა მას, რომ უკვე ადგილობრივი არჩევნები ახლოვდებოდა და უხერხულობაში ნუ ჩაგვაყენებდა და არჩევნების ნაცვლად ნუ გადავიყვანდა გამგებლის არჩევის პროცედურებში. სწორედ ამ გონა კუპრაავამ, რომელიც მთელი ცხოვრება მისი დამცველი გახლდათ, განაცხადა ამ გაზეთში დაბეჭდილ წერილში ავითანიკ სეუხამ, რომ მან გვითხრა ბიჭებს “ოცნებასთან” აქვთ სიტუაციები დალაგებული და ნუ აარევენებო.

როგორც ვითხარით, ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები ახლოვდებოდა და გამგებლის პოზიციაზე წარსადგენი კანდიდატურა უნდა შეგვეჩინა. ავითანიკ სეუხა ეფიქრობდა, რომ ჩემი კანდიდატი ავით თაღუაძემ იქნებოდა. მან ამის საპირისპიროდ გვივი დაღანიძის კანდიდატურა დაასახელა. ჩემთვის შედეგი გახლდათ მთავარი და არა პიროვნება, მით უმეტეს, ორივე კანდიდატურა ჩვენი თანაგუნდელი გახლდათ. ამ საკითხებზე მიხეილ მაჭავარიანთან შეხვედრაზე ჩასულვებს, არ დამაცადა და განუცხადა მაჭავარიანს, რომ თუ გვივი დაღანიძის კანდიდატურა დაუჭერდნენ მხარს არჩევნებს მოვიგებდით. პასუხისმგებლობა ამ საკითხზე საკუთარ თავზე აიღო. რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არავინ წასულა, მათ შორის არც მე.

ამის შემდეგ პარტიული სიის საკითხი მოდის. სანამ ამაზე ვისაუბრებ, აქვე მინდა ვუპასუხო მკითხველის განხილ ბუნებრივი კითხვას – რატომ ვამდევთ ამდენის უფლებას პარტიის უკ-

ვე რიგით წევრ ავით სეუხას – გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე, იმდომ, რომ მას არაერთწლიანი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდა და ჩვენც გარკვეული პერიოდი ურთიერთობად ვახსოვს.

რაც შეეხება პარტიულ სიას, როგორც იცით, ადგილობრივი არჩევნების წინ მისი საბოლოო ფორმირება ხდება და ამასთან დაკავშირებით თბილისში საარჩევნო შტაბის უფროსთან, მაშინ გვივი უგულავა იყო, ჩავედით. მასთან ერთად გახლდათ კაკო ბობოხიძეც. აქედან ერთად წავედით მე, დავით ნიკოლეიშვილი, გვივი დაღანიძე და ავითანიკ სეუხა. მას შეეხება, რომ სიის პირველი ნომერი თავად ყოფილიყო, თუ არა. მაშინ ყოფილიყო ფრაქციის თავმჯდომარე, თუნდაც, მხოლოდ ერთი ფრაქციის შექმნის შესაძლებლობა მოგეცოდა ახალ საკრებულოში. ამანაც უარი განაცხადა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მან ბრძოლის ველზე შემოიყვანა ზვიად ნიკურაძე, სავარაუდოდ, “პატრიოტთა ალიანსიდან” გამგებლის თანამდებობაზე კენჭისყრისათვის. ყველა სამტრედელემა იცის ამ ორი პიროვნების ახლობლობის ამბავი. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ახერხებდა “ნაციონალური მოძრაობის” წევრი “პატრიოტთა ალიანსის” სიის დაკომპლექტებას, გეტყვით, რომ იგი ამ პარტიის და კიდევ ერთი პარტიის “თვითმმართველობა ხალხს” სიას აკომპლექტებდა, რა თქმა უნდა, ჩვენგან მალეულად და დამოუკიდებლად, რომ თითო კაცი, მისიანი მაინც შეეყვანა საკრებულოში და მერე ფრაქციას ჩადგომოდა სათავეში მმართველ პარტიასთან საკავშიროდ. თბილისში შეხვედრაზე პარტიის ხელმძღვანელობამ რომ გვიკითხა, როგორ მივლიდა გამგებლის კანდიდატის საარჩევნო პროცესი, გვივი დაღანიძემ დაუფარავად უპასუხა, რომ თავს იკავებდა, რადგან მის “ხაზზე” პირდაპირ “ჯდებოდა” ზვიად ნიკურაძე და მისი გაჩერება მხოლოდ ავით სეუხას შეეძლო. უტყუარა ინფორმაციით ვიცოდა, რომ იგი უშუალოდ ავით სეუხას კანდიდატურა იყო. მან იუარა ეს და განაცხადა, რომ ზვიად ნიკურაძე ჩემი ძმაც იყო და მე შემეძლო მისი შეჩერება. არგუმენტად თავის დროზე ჩემს მიერ ზვიადის თანამდებობაზე დანიშვნა მოიყვანა. იქვე ვუპასუხე, რომ მე ყველა ის პიროვნება იქ დავამსხვ, როგორც მან მოხვება. იმ შეხვედრაზე თავიდან ბოლომდე გაიზიფრა ამ ადამიანის სქემა. გზაში წამოსული წუწუნებდა, რომ ვიდაცამ ჩაუშვა, რადგან ჩემთან რაღაც თქვა. მის გასაგონად მინდა განვაცხადო: პოლიტიკაში ჩაშვება არ არსებობს, პოლიტიკაში მთავარია, სიმართლე გაირკვეს და ყველაფერს მისი სახელი დაერქვას. ავითანიკ სეუხას სქემა დადასტურდა კიდევ ცოტა მოგვიანებით, თავად საკრებულოში კენჭს მოძრაობიდან “თვითმმართველობა ხალხს” იყრდა და გამგებლობის კანდიდატი ზვიად ნიკურაძე იყო. მას თბილისში შეხვედრაზე ბობოხიძემ პირდაპირ უთხრა, რომ ჩვენი რესურსით საკრებულოში სხვა პარტიიდან ვიდაცეების შეყვანა სურდა, რომ მერე ეს მის სასიყვითლო გამოეყენებია. მეორე დღეს კაკო ბობოხიძემ დამირეკა, რომ ავით სეუხა პარტიისთვის წავიდა. წერს კიდევ: ეჭვი შეიტანეს ჩემში. დაახ. მას სამოქმედო სქემა გავუმიფრეთ! “თვითმმართველობა ხალხის” პარალელურად მან იმ ადგილობრივი არჩევნებისას “პატრიოტთა ალიანსის” პარტიული სია იც დააკომპლექტა, იქამდე, დიდ ჯიხანში იქნა პიროვნება, გვარად ცინცაძე ჰყავდა განსახვედრული, სამტრედიაში “პატრიოტთა ალიანსის” თავმჯდომარედ დაენიშნა.

აი, ეს გახლდათ ავითანიკ სეუხას გაბრაზების მიზეზი. ახლა ორივე ჩვენგანის პოლიტიკური წარსულზე მინდა გავამახვილო ყურადღება. მე მხოლოდ და მხოლოდ “ნაციონალური მო-

ძრაობის” წევრი გახლდით და განსავართ დღემდე და ასეთი იქნება ჩემი პარტიული ისტორია ბოლომდე. 1990-იან წლებში ზაზა ვამაკიძესა და ზაზა ადვიშვილს “ტრადიციონალიზმის კავშირი” ჰქონდათ სამტრედიაში და მათ სიაში ვიყავი პარტიის წევრობის გარეშე. 2002 წელს ადგილობრივ არჩევნებში “მრეწველთა პარტიის” სიით ვიყავი კენჭი. ამ შემთხვევაშიც ამ პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. ქალაქის საკრებულოში მოხვედრის შემდეგ მე, დათო ჭიჭინაძე და კახა გოგიაძე შევექმნით ფრაქცია და “ნაციონალური მოძრაობა” ჩვენ ჩამოვყავილდით სამტრედიაში. მის მერე ამ პარტიისთვის არ მიღალატინა.

რაც შეეხება ბატონ ავითს, ყველასთვის ცნობილია, რომ მისი პოლიტიკური მიდგამაა “მრავალი მაგიდით” დაიწყო. ამ პარტიის საშუალებით იგი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. მერე იყო “ალორმინების” წევრი. ოთხმოცდაათიანი წლებიდან 2003 წლამდე სამტრედიაში ამ პარტიის თავმჯდომარე გახლდათ. ავითი 9 წელი, ახლა წერს ხელისუფლებაში “ნაციონალური მოძრაობის” ყოფნის წლებზე, იმ პარტიის შესახებ, რომელმაც სამჯერ გამგებელი გახდა და ერთხელ პარლამენტის დეპუტატი. ამ პარტიის გარეშე ვერასდროს რომ ვერ გახდებოდა. ახლა წერს ამ გაზეთში, “აბა, ვინ უნდა დაბრუნდეს, ბატონებო, მიშა?! არა, ბატონებო, მიშა არ უნდა დაბრუნდეს!”, როცა მოვაგონებ, რომ ამბობდა, მხოლოდ ერთი ადამიანის მჯერა, მიხეილ სააკაშვილისო. მე მებრალებს ავითანიკ სეუხა “ოცნებასთან” ურთიერთობის დაღვრებას, კაცს, რომელსაც 5-6 წელია, პროკურატურაში მატარებენ და არად დაგვიდევს იმას, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დაუფარავად უჭერდა მხარს “ოცნების” კანდიდატს, ვია მიქელაძეს. არგუმენტად “ჩემი ახლობელია” მიღება, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უხერხულია. შორეული არც ჩემია ვია მიქელაძე, მაგრამ სადაც პარტია და იდეაა, იქ ახლობლობა ცოტა სხვა თემაა. მეორეც, საკრებულოში ფრაქცია შექმნა ილო მგაფიასთან ერთად, რომელიც საკრებულოს წევრი, ტოლების მაკორიტი არ “ბურჯანაძე-დემოკრატიის” სიით გახდა და “ქართული ოცნებაში” ფრაქციის შესაქმნელად გადმოვიდა. მე არ ვადასტურებ, რომ რამე ხდებოდა, მაგრამ თუ ვინმე დაიჩაგრა სამტრედიაში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მხრიდან, თუ რამე ცუდი ხდებოდა ამ პარტიაში, ავით სეუხას გონებაში გადახარშული არასწორი გადაწყვეტილებების და ბირობა ინტერესების გამო. ამას ჩვენი პარტიის ყველა წევრი, მთელი შემადგენლობა დაგვიდასტურებთ. ყველა იმ ფაქტის დადასტურება, რომლებზეც აქ ვისაუბრეთ, შეუძლია გონა კუპრაავას, გვივი დაღანიძეს, მამუკა ჩხიროძეს და დათო ნიკოლეიშვილს.

რაც შეეხება “ევროპულ საქართველოს” და ამ პარტიაში მის გადასვლას, კაკო ბობოხიძემ იცის, ვინ არის ავითანიკ სეუხა. ჩვენი პარტიის ოფისში აქვს მას ნათქვამი, უსინდისო კაციაო, სადაც სითბოა, იქით მიდისო. მაგრამ იმ პარტიაში მყოფი სხვა პიროვნებების პროექტია ავითანიკ სეუხა, თორემ აუკი ბობოხიძე ხელმძღვანელთა კარგად იცნობს მის პერსონას. სწორედ ასეთი წევრების და მათი მისწრაფებების გამოა, რომ ვამბობ იმ კომენტარში, რომელმაც ჩემთან გაზეთით მოვრძალებული საუბარი გადაწყვეტინა, მე ვერადმოხილი პარტიაა “ევროპული საქართველო”-თქო. ჩვენს კოორდინატორებთან აქვს კავშირი, მათ არწმუნებს, რომ ხმა “ევროპულ საქართველოს” მისცენ და მისთვის იმუშაონ. ეუბნება ერთი ვართ, ბაქრაძეს სააკაშვილთან კავშირი არ გაუწყვეტიაო. მოდის ეს ინფორმაციები ჩვენამდე და ამიტომ არის “ევროპული საქართველო” მკვდარ-

დშილი პარტია. ადამიანი ერთხელ რომ შეიცვლის დამოკიდებულებას იდეის მიმართ, მისთვის არც პარტიული კუთვნილება და არც პარტიული ღირებულება არ არსებობს.

ავითანიკ სეუხას მიერ ჩემს წინააღმდეგ ახლა ავორებული ამ კამპანიას და მოყრძალეულ პასუხს იმთავითვე ეტყობა, რომ კიდევ ერთი ხრეია წინასაარჩევნოდ მისთვის ჩვეული ფორმით დაგვემიღო. მოვეხსენებთ, ის წერილი, რომელზეც აქცენტს აკეთებს, თქვენს გაზეთში 31 მარტის ნომერში მას მერე მეხუთე თვე მოდის და ნეტავ ახლა რატომ მოუნდა ეპასუხა? თუ მარტის ნომერი ახლახან წაიკითხა, ადგილობრივ არჩევნებამდე ორი თვე რომ არის დარჩენილი?! ისეთი ჭორების აგორება, სპეცსამსახურებისას რომ ემთხვევა, ავითანიკ სეუხას სტილია. თავის დროზე კახა უკმაჯურობესაც ასე გაუკეთა, ახალგაზრდა, კარგ მენეჯერს და სოსო ახობაძესაც. ბატონ სოსოს არ სჭირდება, მე გავაგონო სამტრედელეებს. საბედნიეროდ, იცნობენ მას ამ ქალაქში და ისიც იციან და ავით სეუხაც. თავის დროზე ასე მოექცა მამუკა ბიბილეიშვილსაც და ასე ექცევა ყველას, ვინც მისი ხრეიებისა და მოსაზრებების გამოზარებული არ არის. ჰყავს თავისი ჯგუფი, რომელიც მის ყველა სიტყვას უპირობოდ უნდა ასრულებდეს. ყოველთვის ასე ხლართავდა რაღაც ქსელებს, ამ ბოლო შემთხვევაში კი თავის გაბმულ ქსელში თავადვე გაება.

რაც შეეხება 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებს, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” კოორდინატორებთან და მხარდამჭერებთან დადიონა და უხერხობა, რატომ უნდა შეეწიროთ ემზარის არჩევნებს და მის ინტერესებს, წამოდით ჩემთან და პარტიის “თვითმმართველობა ხალხს” სიაში მეთორეც, მესამეს, მეხუთეს ჩაცხვამთ ჩათვალეთ, რომ თქვენი პოლიტიკური კარიერა იწყება დღეიდან! და რა მივიღეთ? მხოლოდ თვითონ მიხივედრა თავი საკრებულოში და დანარჩენები კადრის მიღმა დატოვა. იგივეს აკეთებს ამჯერადაც, თუმცა, ბევრისგან სასტიკი უარი მიიღო უკვე, რადგან გაიცნეს ავითანიკ სეუხა. სპეცსამსახურებთან ერთად ავრცელებს ჭორებს. ახლა თურმე კალაქისთან ვართ შეკრულები, რადგან მიქელაძე მისი ახლობელია. კიდევ ერთხელ მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ვია მიქელაძეს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მასთან დღემდე ნორმალური ურთიერთობას ვინარჩუნებ, მაგრამ ამჯერად ჩვენ ერთ პოზიციაზე არ ვდგავართ. კახა კალაქს მხოლოდ ერთხელ შევხვდი, ისიც კამერების პირისპირ, როცა მე საკრებულოს თავმჯდომარე გახლდით, ის კი ინფრასტრუქტურის მინისტრის რანგში სტუმრობდა სამტრედიაში. ერთი სიტყვით, ჩვეულ ამპლუაშია ავითანიკ სეუხა, ამჯერადაც იმას აკეთებს, რასაც ყოველთვის. განსხვავება ისაა, რომ მაშინ ხელისუფლებაში იყო და უსმენდნენ, ახლა კი იყენებენ მას ჩემი და ჩემი გუნდის წინააღმდეგ.

გაზეთში ცოტა სხვა ინტერპრეტაციით დაიბეჭდა ჩემი სიტყვები. მე მაშინ ვთქვი, რომ ადამიანმა, რომელმაც გამოიცვალა რამდენიმე პარტია და ბოლო არჩევნებში ეხმარებოდა სახელისუფლებო პარტიის დეპუტატს, ოპოზიციური პარტიისთვის მისი თავმჯდომარეობა ჩანასახშივე დამლუპველია-თქო. შემიძლია არაერთი ფაქტი და პიროვნება დაეახსოვო, ვისთანაც მივიდა და უთხრა: მიეხმარე ვია მიქელაძეს, უნდა ჩაეჩხურო “ნაციონალური მოძრაობა”. ეს მოქმედება ხელს ხელისუფლებას აძლევს. აქედან გამომდინარე საკითხავია, ვინ თამაშობს ხელისუფლების თამაშს?!

ლიპნაე გარეკანა

არახალი იყო პრობლემა, 25 წლის წინ აფხაზეთის სისხლისძღვრულ ომში რომ გადარჩა, თუმცა, ასე თუ ისე, მაშინდელი პოლიტიკის წყალობით საქმე ომამდე არ მიხვალა.

25 წლის წინ კი... ომი დაიწყო აფხაზეთში.

დაიწყო და ომისთვის დაბასიათებული ყველა სიმძიმე და გასაჭირი საკუთარ თავზე გამოსცადეს აფხაზეთის მედიდრმა ქართველებმა და არა მარტო მათ.

ხიზნობა საკუთარ სამშობლოში. მატერიალური, სულიერი დანაკლისი და დანაკარგი. იძულებითი სტატუსი დევნილობისა. ვინ მოსთვლის, განვლილი 25 წლის მანძილზე რამდენმა ჩაიტანა ცივ სამარეში აფხაზეთში დაბრუნების აუხდენელი ოცნება. კონარადან გახლდათ ქალბატონი ტატიანა ბეალავა. მაშინ, როცა 20-25 წლის წინ ეკლესიებს ხალხი, მრევლი ნელ-ნელა უბრუნდებოდა, ქალბატონ ტატიანას საეკლესიო სანთლები და საემეველი თან დაჰქონდა, მორიდებით შემოაღებდა კარს, მოსალმებამდე ლოცვით დაიწყებდა საუბარს - ცუდს რას ვაკეთებ, მადლსაც ვთეს და პატიოსან ლუქმასაც ვშოუ-

აფხაზეთი ჩვენი



ლობო. მისი "კლიენტები" ვიყავით ჩვენ, ჩვენი კოლეგები. სამსახურის გარეთაც არაერთხელ შევხვედრივართ მას, მერე წლებმა თავისი გაიტანა და... უკვე შორეული მოგონებაა ქალბატონი ტატიანაც და მისგან შემეხილი სანთლებიც. აფხაზეთის ომი მძინვარებს. ქვეყანაში თავდაცვის ფონდა შექმნილი. რაიონის ადმინისტრაციული სახლის პირველ სართულზე დევნილთა დასახმარებლად შტაბი მოქმედებს.

ტანსაცმელსა და საწვავს იბარებდნენ, უფრო სწორად, აბარებდნენ აქ აღმადანები, მოძმეთათვის ტკივილი რამდენადმე რომ შეემსუბუქებიათ, გასაჭირში მარტო რომ არ დაეტოვებიათ. რედაქციამ, სტამბამ გარკვეული რაოდენობის თანხა ჩარიცხა თავდაცვის ფონდში, ტანსაცმელი და სურსათიც შეგროვდა. გვანსოვს ომგადანდელი ჭარმაგი, ჩვენი გაზეთის აქტიური ავტორი და მეგობარი, ბატონი დავით ჩხაიძე მოვიდა რედაქციაში, მოზრდილი ჩანთა მოიტანა, შიგ ტანსაცმელი, წამლები და ცოტ-

აოდენი სურსათი. მსურს, ჩემი წვლილიც იყოს რედაქციასთან ერთად დახმარებაში, მე ვეღვაზე მეტად ვიცი, რას ნიშნავს ომი. - გვითხრა თავად ომგამოვილი კაცმა, რომელიც წლების მანძილზე რეინგების სამტრედიის საავადმყოფოში იდგა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. - ჩვენი უფროსი კოლეგა, ბატონი ანზორ გრიგოლია იყითხეს ერთხელ დეპლემოსილმა პედაგოგებმა ქალბატონებმა ელენე კანდელაკმა და კლარა შანიძემ. თითო თვის პენსია გვსურს თავდაცვის ფონდში შევიტანოთ და დაგვკავალიანეთო. ყოფილ პედაგოგებს ყოფილი მოსწავლე ბანისასკენ გაჰყვა. მაშინ არ ისურვეს ქალბატონებმა ეს საქციელი ცნობილი გამხდარიყო, თუმცა... ჩვენ მაინც გვანსოვს კეთილშობილება კეთილშობილი ქალბატონებისაგან. ბატონი ამირან ხარებავა ამოტივტივდა მეხსიერებაში, წარმოშობით სამტრედიელი, მთელი ცხოვრება რომ აფხაზეთში გაატარა, იქ დაოჯახდა, დაწვრილშვილდა, იქ დაფრთიანდნენ მისი შვილები, გამართა ოჯახი და მერე ყველაფერი იქ, აფხაზეთში დარჩა. წლების მანძილზე თანამშრომლობდა იგი "სამტრედიის მაცნესთან". ციციქა ლექსები და სხარტულები მოჰქონდა რედაქციაში და რედაქციაც უარით არ ისტუმრებდა საკუთარ სამშობლოში ხიზნაქცეულ კაცს. დაუვიწყარია ბატონი ვილგემ ქარაია, გამრჯე ჭარმაგი, რომელიც შეკითხვანზე, როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად ხართ, ბატონო ვილგემ-თქო, ამოიხრებდა და დღეში ათჯერ რომ შეხვედროდით, ათივეჯერ მთელი განცდით მოგიყვებოდით მისი სულის ტკივილზე. მანაც იმ ქვეყნად წაიღო სურვილი, ნატე-

რა და ოცნება აფხაზეთში დაბრუნებისა. 25 წელი გავიდა აფხაზეთში ომის დაწყებიდან. ახლა ჩემი ყოფილი მოსწავლეები, სოფელ დიდ ჯიხაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში რომ ბინადრობდნენ: ქარაიები, მასსურაძეები, იაკობიძეები... მათ ბავშვურ, გაყინულ მზერაში მწელი ამოსაყთხი, ამოსაცნობი არ გახლდათ მათი და მათი ოჯახების ტკივილი, გასაჭირი, მოლოდინი... ახალგაზრდა ქალბატონი თამარ ივქიანი აქვეყნებდა ერთი ხანობა წერილებს ჩვენს გაზეთში, დევნილი გახლდათ თამარი, მერე, მერე თვალს მიეფარა, თუმცა მეხსიერებას შემორჩა. კითხვა კითხვადვე რჩება დღესაც - შეიძლება თუ არა კონფლიქტის თავიდან აცილება? ფაქტი ერთია, არათუ კონფლიქტი, ომი და მისი მძიმე შედეგებიც კი ვერ ავიცილეთ თავიდან და დღეს უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაღუპულს ვვლოვობთ. ისევ ტირიან შეილმკვდარი დედები. ისევ ელიან ლტოლვილები აფხაზეთში დაბრუნებას. ისევ ესინძრებათ ზღვის ხმაური, პალმების შრიალი, მოფარფატე თეთრი თოლოები. იქ კი, აფხაზეთში, ჩვენს მიწა-წყალს სხვა დაჰპატრონება. ... რახანია აფხაზეთში უქართველოდ ბინდლება! იმედი არ კვდება, იმედი არ უნდა მოკვდეს. ჩვენ შევალოთ აფხაზეთში. აფხაზეთი ჩვენი!



სოფელი ელი იხაი

ნათობ ნაცვლიძე

ნიგორზღვისკენ ავიდეთ გეზი, იმერეთის სამხრეთ მთისწინეთის უღამაზესი სოფლისკენ. აგვისტოს ხვატისგან თავმოგზრებულეს სულ მალე, ზღვის დონიდან 120 მეტრზე, სოფლის ნიავე მხსნელად მოგვევლინება. დაფნარის ასახვევით აუხვივით, ამ მოსახვევში მწვანედ შედებილი, რატი ამადლობელის მამისეული სახლი პირველია. "ნამყოსი ჩრდილია ჩურჩულებს: განქარდი, გარადი გარადმა" - უნებურად ამ პოეტის ეს სტროფი ხმანობს გონებაში, იმერი-ზმებით შეუკამბავს პოეტს სოფელი ყოფის ამსახველი მისი ლექსები. ბედი წყალობს ნიგორზღვას, პოლიტიკურ ელიტანე რომ აღარაფერი ვთქვათ (კახა თარგამაძე, გიორგი თარგამაძე, გივი თარგამაძე), პოეტური ელიტაც ჰყავს. ტალახადიების გორს რომ ჩაუვლი, ტარი-ელ ჭინტურაის ლექსით გინდა მოეფერო ამ ადგილებს, აქ გაშენებული ბავშვობისდროინდელი ბლების გემო მონატრება პოეტს და დაუწერია: "თქვენ ჩრდილი მენატრება, თქვენი უატომო ზონა". ამ "უატომო ზონას" ახლა აზიური ფაროსანა და ამერიკული პეპელა შესევია. თხილი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიწამლა, მაგრამ, დაავადებულია და გულგამომპალი. თანდათან მადლა და მადლა მივიწვევთ, სიმწვანე გაჯადოვებს, გინბლავს გემორის ბუქტების უჩვეულო მისტიკა. გვხვდება კოხტა

სახლები, ბევრი მიტოვებულიც, ხავსმოვდებული ფანჯრები, ჭინტარი "მოძალადე თურქ-სელჯუკით მიუყვება" გრძელ კბეებს. "შე ის პატარა ციხე მონა მტრისთვის უომრად ჩაბარებული" - შოთა ნიშნანბის წუხილიც დროული და ზეატულური. პოეტები ძალზე მტკიუნეულად განიცდიან ქართული სოფლის დაცლას. გინდა, ხმამაღლა გაუმეორო ძლიერთა ამა ქვეყნისათა ჯანსუღ ჩარვეიანის სიტყვები: "მაგრამ შენს სახლ-კარს ასე დატორილს, ნუ გეშინია, არვი დატორებს, ნუ გეშინია, მოვა პატრონი, გადამთიელი და უპატრონებს"... ამ გულისმომკველ რეალობას უმუშევრობა ქმნის, სოფელს სტოვებს და ქალაქში დახლთან დგება ქართველი გლეხი. სოფელი ქვეყნის მიგრო-მოდელია. ქვეყნიდან ჯერ ქალები გაიქცნენ უცხოტომელი ავადმყოფებისა თუ მოხუცების მოსავლეად, ახლა უკვე მამაკაცებიც გარბიან... კონკრეტულად ამ სოფელში ისეთები მეტნი არიან, ვისაც შრომის მაგია ყველაფერს ავიწყებს, ერთი ძველი სიმღერისა არ იყოს, მზეს ამოსვლას არ აცლიან, სისხამზე დგებიან და დაუზარელად შრომობენ. ყოველწლიურ სარჩოს აგროვებენ, ჯოუტად შრომობენ და ხერხემალს უმაგრებენ, ჯებირად უდგებიან სოფელს და ქვეყანას... ზაფხულზე ახალგაზრდული ჟრამული აცოცხლებს სოფელს, ზამთრის სოფელი კი გულმოდკული სანახავია. ზამთარში საოცრად გიხარია ორდობეში

ახალგაზრდის დანახვა, ისევე, როგორც საკამურიდან ამოსული კვამლის... გიხარია, შარშან რომ 83 წლის ბებო დატოვე, წლეულსაც რომ დაგხედება, ხელში "ბაწრით" რომ მიჰყავს პატარა ბოჩოლა. აქაურთა ნაჯაფარი ხელის გულეები მეტის მიქმელია, ვიდრე იმ პოლიტიკოსთა რიტორიკა, ამომრჩეველთა ხმების მოსანადირებლად რომ აუთხავენ სოფელს. თვალსა და გულს ახარებს ნიგორზღველი რომან კიკვაძის მიერ დამუშავებული ფართობების ხილვა. მის გამრჯე მარჯვენას ხილიც მოჰყავს და ბოსტნეულიც, მთის კალთებზე შეფენილ სოფელში მიწის დამუშავება ხომ ადვილი საქმე არ არის. რამდენიმე წელია, ვიცნობ ენერგიადაუღვევლ იოსებ თარგამაძეს, მისი მოუღვლი მარჯვენა არაერთი მეზობლის დასახმარებლად მოქანცულა. გზაზე "წელში გაჩრილი წაღლით" რომ შეგვხვდება მხნე მოხუცი, გჯერა, ჯერ შენს ქვეყანას არაფერი ემუქრება. გმირია ყველა ის, ვინც ამაგრებს და აძლიერებს სოფელს, ვინც დუხჭირ ყოფას არ გაეცა საზღვრებგახსნილ ევროპაში და თავის სამშობლოზე კარგად არ ცხოვრობს. ვისთვისაც არავითარი "ზაცია" არ არსებობს, გარდა თავისი წილი სამშობლოს მოვლა-პატრონობისა. კი არ დააბიჯებენ, დაფრინავენ ზაფხულობით სოფლის ორდობეებში კუნთმაგარი, თვალადი და ტანადი ჭაბუკები, ღმერთმა ქნას, წლების შემდეგ ინტერვიუებში მათ ისევე მოეგონებინოთ მშობლიური ნიგორზღვა, როგორც ამას წინათ მოიგონა მოქანდაკე აკაკი კიკვაძემ. მისი ვაჟის, გიორგი კიკვაძის მიერ შესრულებული ქანდაკები კი ქუთაისის ცენტრალურ მოედანს ამშვენებს. გიორგი მოქანდაკეთა თერთმეტკაციან ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელიც შადრევანისათვის განუთვნილ ამ 31 ქანდაკებაზე იმუშავა. ამ სოფელმა ბევრი კვალიფიციური და ნიჭიერი კადრი მისცა ქვეყანას, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ამ სოფლიდან წასულნი ცოდნას გადასცემენ ახალ თაობას. რამდენიმე წელია, სოფელი ბუნებრივი აირის მიღებით დაიქსელა. კომუ-



ნისტების დროს, როცა აუგუნებულ სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში აქაურები იყენენ დასაქმებულნი, დღეში რამდენიმე რეისს აკეთებდა სოფლის ავტობუსი. იმხანად სკოლა ბავშვებს ვერ იტყვდა და მასწავლებლები სამტრედიიდან დადიოდნენ. ახლა ერთადერთი ავტობუსი მხოლოდ კვირაში ორ საბაზრო დღეს მუშაობს. კომფორტი შეუქმნა განათლები-სა და მეცნიერების სამინისტრომ სოფლის მოსწავლეებს. ისინი ავტობუსს სკოლაშიც მიჰყავს და სახლშიც აბრუნებს. სკოლა სოფლის სიცოცხლის ერთ-

ადერთი მაცნეა. ამ სოფლის 9 წლიან სკოლას წლეულს აშკარად გაუმართლა - ზარი არა ერთადერთი პირველკლასელისთვის დაირეკება, როგორც გასულ წელს მოხდა, არამედ, ექვსი მოსწავლისათვის. ამ სასიამოვნო ნიუსით დავასრულეთ წერილი და მას პესიმისტური ფინალი ავარიდით... დაეიტოვოთ იმედი, რომ ყოველწლიურად მიგრაციის პროცესი შენდდება და ეს სოფელიც სხვა ქართული სოფლების მსგავსად თავის შვილებს უკანვე დაიბრუნებს.

# “ინტერსტელარი” ჰირველ ათეულშია

ნათია ნაცვლიძე

**რამდენიმე წელია, ბათუმში, სასტუმრო “ინტერსტელი” მოაზროვნე ვია მახარაძის ხსოვნის პატივსაცემად ტრადიციულად იმართება ინტელექტუალური ტურნირი. წლეულს გარდაცვლილი მოაზროვნის სახელობის ტურნირზე სამტრედიის გუნდით წარსდგა. მასში მონაწილეობდნენ სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდი “ინტერსტელარი” და გუნდი “ნიზონი” (კაპიტანი ლაშა ლორია).** “ინტერსტელარის” კაპიტანის, გიორგი ჩაჩუას ადგილზე

არყოფნის გამო გუნდის კაპიტანობა ახალგაზრდა ინტელექტუალმა და გუნდის ვიცე-კაპიტანმა, დავით მანჯგალაძემ გასწია. სამტრედიელთა ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით გამოვიდა: დავით მანჯგალაძე, ლევან ცირეკიძე, გიგა ჩალივაძე, ვაჟა ჩიჩუა, მამუკა კილურაძე და დემეტრე ქარაძე. გუნდი პირველ ათეულში მოხვდა და ამით უწინდელი შედეგი გააუმჯობესა. ტურნირიდან დაბრუნებულ გუნდის წევრებს კომენტარი ვთხოვეთ.

დავით მანჯგალაძე, ვიცე-კაპიტანი: “ერთი წლის წინ “ინტერსტელარის” ვიცე-კაპიტანად ამირჩიეს და იმ შემთხვევაში, როცა გუნდის კაპიტანს არ სცალია, ან ახალგაზრდული თამაშებია, გუნდის კაპიტანი ვარ. ამჯერად მონაწილეობა მივიღეთ გარდაცვლილი მოაზროვნის, ვია მახარაძის სახელობის ტურნირში, რომელიც უკვე მეოთხე წელია

ტარდება. იგი საკმაოდ რეიტინგულია, რაც წლეულსაც დადასტურდა. მასში მონაწილეობდნენ ინტელექტუალების საუკეთესო წარმომადგენლები გიორგი მოსიძე, დიმიტრი ქიტოშვილი, ვაგი გაბრიჭიძე... 40-ზე მეტი გუნდი იყო დარეგისტრირებული და ჩვენ პირველ ათეულში გავედით, რაც საკმაოდ კარგი შედეგია, ამით შარშანდელი შედეგი რამდენიმე საფეხურით გავაუმჯობესეთ. განსაკუთრებულად გამოირჩეოდა გუნდის ახალგაზრდა წევრების თამაში. ჩვენი გუნდი არის საკმაოდ მზარდი და უახლოეს მომავალში აჩვენებს საკმაოდ მაღალ შედეგებს. გუნდის წევრები ინტენსიურად ვგარჯიშობთ და ვემზადებით ეროვნულ სუპერლიგაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 24 სექტემბერს იწყება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 7 დონის ლიგადან სამტრედიის “ინტერსტელარი” ყველაზე მაღალი დონის ლიგაში, სუპერ-



ლიგაში ასპარეზობს.”  
 ლევან ცირეკიძე: “წლეუანდელი ტურნირი წინა წლების ტურნირებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ უპრეცედენტოდ ბევრი გუნდი იყო წარმოდგენილი, იყვნენ ძლიერი გუნდები და მაღალი იყო კონკურენციაც. სამწუხაროდ, გუნდში არ იყვნენ კაპიტანი გიორგი ჩაჩუა და გიორგი ცაგარეიშვილი, იმეათ-

ად გვიწევს კაპიტანის გარეშე თამაში და გუნდი გადახალისებული შემადგენლობით წავიდა. სასიხარულო ის იყო, რომ წლეულს სამტრედიის 2 გუნდით იყო წარმოდგენილი. მეათე ადგილზე გავედით. არცთუ ურიგო შედეგი გვაქვს, იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის ძლიერი გუნდები იყვნენ წარმოდგენილნი და შეკითხვებიც საკმაოდ რთული იყო”.

## სწავლის დაწყებას მივსვით!

**საცაა აწერილდება ახალი 2017-2018 სასწავლო წლის დაწყების მუშაობის სკოლის წარიღე. უკან დარჩა ხალისიანი არდადეგები, ზაფხულის სვადი.**

**სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ საუბარი სოფელ ეწრის საჯარო სკოლის დირექტორთან, ბატონ მიხეილ კობალაძეშვილთან.**

20 წელზე მეტია, ბატონი მიხა ამ სკოლის დირექტორია და ამდენად, არ გავგვირეგებია, საუბარი ერთობ საინტერესოდ, საქმიანად, რომ წარიმართა.

მხელა, იმ სახელოვან ადამიანთა ჩამოთვლა სხვადასხვა წლებში ეს სკოლა რომ დაუმთავრებიათ.

წელს სკოლაში 108 ბავშვი დაეუფლება მეცნიერების საფუძვლებს. გასული სასწავლო წელი 7 მოსწავლემ დაამთავრა, მათგან სამი: ელგუჯა წოწელია, მარიამ კობალაძეშვილი, სალომე ჯულაყაძე სტუდენტები გახდნენ.



სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები არიან მარიამ კობალაძეშვილი და სალომე ჯულაყაძე, სახელმწიფო დაფინანსებით დაეუფლებიან ისინი სასურველ სპეციალობას. ელგუჯა წოწელია კი, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო დაფინანსებით დაეუფლება ცოდნას.

პირველ კლასში შესასვლელად სკოლაში 10 მოსწავლეა დარეგისტრირებული, რაც წინა წელთან შედარებით პოზიტიური მაჩვენებელია.

“სამტრედიის მაცნეს” არაერთხელ აღვნიშნავს, რომ სკოლაში მოქმედებს ამერეული საქველმოქმედო ორგანიზაცია “თბილისის მოზარდთა სახლის” შესაბამისი პროგრამა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უკვე მეოთხე წელია, ხდება მოსწავლეებისა და პედაგოგების უფასო კვება. (დღეში ერთხელ) წარმოებს, უფასო სამედიცინო მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც სწავლას კოლეჯებში და უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ, ფინანსდებიან, ანუ სწავლის ქირას ორგანიზაცია ფარავს.

“თბილისის მოზარდთა სახლი” ახორციელებს აგრეთვე, მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ა. შ.

როგორც ბატონი მიხეილისგან შევიტყვეთ, სკოლაში პირველკლასელთათვის საჭირო რაოდენობის “ბუკები” უკვე შეტანილია.

მიმდინარეობს მოსწავლეთა უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროცესი.

მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი სრულ მზადყოფნაშია და სიხარულით ელის კიდევ ერთი ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და “სამტრედიის მაცნეს” საშუალებით ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ყველა მოსწავლეს, პედაგოგს, წარმატებები ვუსურვო მათ სწავლასა და კეთილმოხდულ მდგომარეობაში! – დასძინა რესპონდენტმა.

გულწრფელად ვუერთდებით დირექტორის გულწრფელ სურვილებს.

ლევან ბაგრაძე

## სრულ მოაღყოფნაში

ხვდებიან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებას. აგვისტოს ბოლოსთვის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში დასრულდა უფასო სასწავლო სახელმძღვანელოების შეტანა.

620-ზე მეტ პირველკლასელს გადაეცემა აგრეთვე, “ბუკები”, – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ბოზუამ.

ლევან ბაგრაძე



## ახალი სასწავლო წელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

18 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებშიც განახლდება. ინფრასტრუქტურულს თუ არ ჩავთვლით, მომავალი სასწავლო წლიდან ისევე როგორც მთელს საქართველოში, სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა, ჯერჯერობით, კვლავ აქამდე არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით განხორციელდება. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს, თითქმის ყველა საბავშვო ბაღი განსაკუთრებულად მოემზადა განახლებული სასწავლო წლისთვის. გარკვეული კონსტრუქციური სამუშაოები საჭიროების მიხედვით ყველგან ჩატარდა. კონტინენტის მატებაზე ინფორმაცია ამ ეტაპისთვის არ არის ცნობილი, რადგან სასწავლო წლის განახლებამდე ერთი კვირით ადრე შეუდგება მუშაობას საბავშვო ბაღების ტექნიკური და პედაგოგიური პერსონალი, ახალი განაცხადების მიღებაც ამ დროისთვის დაიწყება.

უკვე დაიწყო შემის შეტანა ყველა საბავშვო ბაღში, რათა ზამთრისთვის ეს პრობლემა უკვე მოხსნილი იყოს.

როგორც სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარინა შენგელია ამბობს: “ახალ სასწავლო წელს სრულიად ახალი საბავშვო ბაღით შეხვდება სოფელი ღანიური. აქამდე იგი საუკუნის წინანდელი დაწყებითი სკოლის ხის შენობაში იყო განთავსებული. ერთჯერადი საბავშვო ბაღი ორჯერადი გახდება, ამის კონტინგენტი ჰყავს სოფელ” შენობა სოფლის ცენტრში მდებარეობს და აბსოლუტურად ყველა სექტორში თანამედროვე სტანდარტებს თუ ბოლომდე არ დააკმაყოფილებს, ბევრად მიახლოებული მაინც იქნება.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარინა შენგელია ზოგიერთ სიახლესაც საუბრობს, რომელიც სასწავლო წლის მიმდინარეობისას უკეთ იქნება ცნობილი.

18 სექტემბერს სკოლამდელ გაერთიანებაში ყველაფერი მზად იქნება პატარებთან შესახვედრად.

ლევან ბაგრაძე

# “ნატურის ხე”, რომონს ღუკა მახარაძის რეჟისურაში, “როგორც ღუკა მახარაძის, ღუკა...”

შოთა შავაშვილი

გიორგი ლეონიძე (უწინარესად) პოეტი იყო, მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებში მან შექმნა თავისი განუყოფელი “ნატურის ხე”, მოთხრობათა ციკლი, რომელიც თამაზად შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ პირველთაგან მხატვრულ კმნილებად.

ეს წიგნი მწერლის ყოველმხრივ მოვლენებშია. მამინდელი განცდილი და დახატული ქართული სოფელი. “მშენებელი კლასიკა. სადღაც ყმაწვილობის მიჯნაზე მდგარი ნატური სვეტი პართენონის და გმირები – ჟოლოსფერი ხავერდის გულკანები”.

პოეტის ნათქვამი მათხრობა, ერთგან ამოიხსნის – რაც ვერ ჩაგატყე ღუკაში, ის მინდობდა მკითხველამდე მიმეტანა ამ წიგნით. სათქმელს კი, ეტყობა, მართლაც ვერ იტყვდა ვულში, – იფიქრებდა წიგნის შემდეგ მწერლის ქალიშვილი თინა ლეონიძე. – წყნეთში ჩემ თვალწინ იწერებოდა ეს მოთხრობები და მაშას ღიმილი არ ჩაჰქრობია თვალში. დიდი გრძობითა და სიყვარულით რანდავდა სტრუქტურას.

მოთხრობებში ასახული ამბები გოგონას მშობლიური პატარა ქალაქის “ნეთა ჩრდილებში” “თამაზდება” და მწერალიც “იქ დარჩენილ ბავშვობას” ეკიდობოდა, აღბათი...

“ნატურის ხე” პოლიფონური ტექსტია.

ძნელია, თქვა – რა არის ის: მოვლენები, ნოველების კრებული, მინიატურები თუ ყოველივე ამის სინთეზით ჩამოქონილი რომანი.

ცხადია, ნებისმიერი ბიოგრაფიული ხასიათის ნაკალმარი (დღიური, აღსარება, მემუარი...) სრულიად გან-

ელიონის, ელფეთერის, თაღრიას, ფუფალას, მეეტლე იგორას, შეთეს, ხვედიას, ჩირიყ-ჩიოტელას, ღვინჯუას, დეიდა მაიოს, ციცაოტრეს, ჩორეხის, მარიტასა და გედიას კრებით არქექტივებით.

ერთი თავისებურებაც,



სხვაგვარი კუთხით აღწერს მოვლენებს. ასეთ ნაწარმოებებში მოთხრობელი საკუთარ ცხოვრებაზე, განცდებზე, ეპოქაზე გამორჩეული სუბიექტურობით გვიყვება, რადგანაც ეს ავტორის პოზიციაა. იგი ყოველი მოვლენის, ფაქტის მომსწრე-თვითმხილველია, ამიტომაც მკითხველს ნამბობის ავთენტურობაში ეჭვი არ ეპარება.

მართლაც, უტყუარი გულწრფელობითაა “ნატურის ხის” კაბადონები”, სანდობითა და, ამავდროულად, ფარულთქმითაც – ხატსახეობრივი აზროვნებით. გიორგი ლეონიძის ეს წიგნი ზოგადადამიანური ფსიქოლოგიის ანარეკლია, სხვადასხვა წახნაგიდან აღქმული.

სიმბოლურ სიუჟეტთა, პროტაგონისტთა პოლარული-ობოზიციურობას ლიტერატურული ქარგისთვის ნახესხები ყოველდღიურობა ხსნის. თავად სოფელიც, როგორც მოვლენა, არაერთმნიშვნელოვანი კონტრასტისაა. გიორგი ლეონიძის სოფლის შეცნობა კი არ აინტერესებს, არამედ მისი არსის, თვითმყოფლობა-იდენტურობის გამოვლენა, რათა ამ გზით შევძლოთ ჩვენი საზოგადოებისა და მასში საკუთარი თავის, საკუთარი საქციელის გაგება. ეს მხოლოდ გოგონასეული პატარა ბავშვი კი არაა, ჩვენი ქვეყნის მოდელი, მისი ალეგორიული მაგალითია

“ნატურის ხეში” არ არსებობს რომელიმე აღიარებული ცენტრი. მასში ყველა პერსონაჟი თანაბარი ღირსებით ხასიათდება და ერთნაირად გულისხმასაყოფია. ამჯერად ყურადღებას რამდენიმე მათგანზე შევჩერდეთ – ელიონის, ფუფალასა და მარიტას სახეებზე, როგორც იდეური ხედვის საერთობის შესაძლო ნიმუშზე.

უცილობლად არის რაღაც უხილავი კავშირი მათ შორის. პირველ ყოვლისა, ცალკეულად ვისაუბროთ თითოეულზე (რამდენიმე ცხოველმეტყველი პასაჟის მოხმობით), დასვენის სახით კი მსოფლალქმობრივი პარალელების კვეთის შესახებაც ვთქვათ.

**სიზორონის რეჟისურა**  
“ცხარე მეოცნებე” ელიონი (გარკვეულწილად) ნამდვილად ენათესავება ანტიკურობიდან გადმოსულ მითოლოგიურ გმირს, სიზოროსს, რომელსაც ხელახლა ააქვს მისი წვერზე მრავალჯერ დაგორებული ლოდი... მაინც ბედნიერია, რომ არ ნებდება. მისი ყოველი ნაბიჯი, მწვერვალისაკენ გადადგმული, მცირე, მაგრამ გამარჯვება – რომ არ დაემონა ღმერთების ნებას და ლოდთან ჭიდილი პირადი ღირებულებების გაცხადებად აქცია. სარტრი წერდა, ყოველი ადამიანური წამოწყება განწირულია მარცხისთვის.



ცხოვრება მარცხია, რადგან ბოლოში სივდილია, თუმცა სიზორონის შემართება, ბედთან შეუპოვრობა მისი და თითოეული ადამიანის ღირსების საქმეა. ცხოვრება აბსურდია, მაგრამ ცხოვრობ, მიდიხარ. შეიძლება არ გჭირდება ქალაქის მიტანა კონკრეტულ ადრესატამდე, მაგრამ, როგორც სენტ-ეზიუპერი ამბობდა, მნიშვნელობა არა აქვს, წერილში რა წერია. რადგან ფოსტალიონი ხარ, შენი ვალია, ეს წერილი ერთი ადგილიდან მეორეზე მიიტანოს.

რას აკეთებს ელიონი? – “შეთხზული უცანური ნატურებით კერძალკის მხეცივით შემოტყულ სინამდვილეს.” მისთვის სიზორონის შრომაა ჯერ ოქროკვერცხას, მეორე ნათელიეზას, ბოლოს კი ხერეკანდის ხის ძიება. იგი ბუნებით მარტვილია, იდეას მსხვერპლად შეწირული, ფიქრით ესთეტი – “პოეტური თვალთა და პოეტური გულით”.

### “გარტორგის ბრძოლა”

ტრაგიკული ქალი. წყაროსთან სალალოდ ჩამომსხდარი დედაცაცებისათვის მხოლოდდა თავშესაქცევად საღირალი ფუფალა, უსახდროდ ბინარული ტიპი, ჩაბრუნებული მზერის დიქტომია – საწყალობელი და კომფორტი, დამცირებული და თავმოყვარე. “ის დგება ადრე, რადგან უკვე დიდი ხანია, სიზმრები, ცვილის ფრთებზე გამომბული შენელებული კადრების ნაცვლად, მოაქანებენ კუპრის მდინარეს, რომლის ტალღებში ტივიტივებენ მკვდარი მშობლები, მეგობრები, ნათესავები. მათი წაშლილი სახეები ჩაქუჩებვით უკაუნებენ მესხიერებას, მაგრამ ამოდ, ყველაფერი მკვეთრი და მწვავე მარმარილოს წვეტან ლოდებს ჩამოახედა სიცოცხლის ფინმა.” ცოცხალია იდეა სანატრული სატრფოს სახეება. შიოლას მეშვეობით გამოგონილი რეალობის ცნება შემოაქვს გიორგი ლეონიძის ნარატიულ სტრუქტურაში. თუ აქამდე მოქმედება ცხა-



დად მომხდარს შეეხებოდა, უკვე ჩნდება ირულური შრეები, გრძობისმიერობით ნასაზრდობი. ფუფალა სასოწარკვეთის მფარავია. შემთხვევითი არაა სამოსივით ცხოვრებაშემოქმნილი ამ ქალის სახელთან ერთად გუნდა-ლახუსტაყის ხსენება. აქ საინტერესო ქვეტექსტი ივითხება, ფერ-უმარილი მისთვის არა გარეგნული ნაკვთების შესანიღბი, არამედ სულის საღობათა საბურველია. ტკივილისა, ნინუცისთვის ნაკვერალით – “ხომ დამიტირებ ნამდვილი ცრემლით?!” – რომ გამჟღავნდა საბოლოოდ. გაითქვა და ერთგვარად დაირღვა საკუთარ თავთან დადებული მღუმარების ადრექმა.

როგორ მარტორგის ჩამოიარა ფუფალამ შარავის მტკირიანი ბილიყები, ისე ეულადვე მიეფარა თვაღს. როგორც პატარა ხნით გაითქვიფა ადამიანებში”. არ გახლდათ მარიტა მიწის შვილად გაჩენილი. აკი, ამბობს კიდევ გიორგი ლეონიძე, პირმეტყველი სამოთხე იყო და ყოველწინადადებს ამის სარწმუნოდ წნავს. ეს დამცირებული მზიური ყვავილი განრჩეული იყო სხვათაგან, ზენით ხელდასხმული, რომელიც ცისარტყელასავით დადიოდა სოფლის ორსისი რაღაც მოსალოდნელი სიავისა. საზოგადოდ, კეთილობის თავბრუდამხვევობას ხომ მარად უსამველო საწუხარი სდევს თან. სავარაუდოდ, ასეთი გარდაუვალი ე. წ. განვითარების



### “მარიტას პირველი დასვა ბული...”

“ეს ქალი მალე უნდა მოვლეს და სულ უფრო ემსავსება მცენარის ღეროს, რომელიც პატარა ხნით გაითქვიფა ადამიანებში”. არ გახლდათ მარიტა მიწის შვილად გაჩენილი. აკი, ამბობს კიდევ გიორგი ლეონიძე, პირმეტყველი სამოთხე იყო და ყოველწინადადებს ამის სარწმუნოდ წნავს. ეს დამცირებული მზიური ყვავილი განრჩეული იყო სხვათაგან, ზენით ხელდასხმული, რომელიც ცისარტყელასავით დადიოდა სოფლის ორსისი რაღაც მოსალოდნელი სიავისა. საზოგადოდ, კეთილობის თავბრუდამხვევობას ხომ მარად უსამველო საწუხარი სდევს თან. სავარაუდოდ, ასეთი გარდაუვალი ე. წ. განვითარების

წინაპირობა იყო სიონობაზე ცეკვაში გართული მარიტას წრიდან ძალით გაყვანა. – რა შენი ტოლია ეგ ჭირსაცემელი, მწველ სიმხურავულ მოედლო მარიტას ბერდელასგან გედიას კიცხვა. მოსაწონი შეთე გამოდგა ლულაურისთვის, “შეთე – ნამშრალი, გლოროზი, ცხოვრებას დახამებული, ყველასგან უყვარული და ყველას უარი-სმყოფელი”. კაცი, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ერთ-ერთ შემოქმედად იქცა გლოვის კვამლით სოფლის გაშავებისა.

დაიკარგა მარიტაც...  
\*\*\*  
შემოგანხილული სახე-პერსონაჟები წილადები არიან მთელისა როგორც თავიანთი მთავარსათქმელით, ინტენციით, ისე ხვედრით. გარდა ამისა, მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს მოსაზრება, გიორგი ლეონიძის მიზნად ერთის არაერთგვაროვნად მოწოდება-გამოცემა დაესახა, ანუ კონკრეტული სახე გადაგვეჩვენებინა ამა თუ იმ პლანში.  
პირველი “მოცემულობა” ელიონია, მეორე – ფუფალა. იდენტურია მათი

მისწრაფება არარსებულისაკენ. ფიქურალურად რომ ვთქვათ, ფუფალას “ნატურის ხე” შიოლაა, ელიონის შიოლა კი, პირუკუ, ხერეკანდი, “აყვავებული ხე, რომელსაც არც სახელი აქვს, არც ნაყოფი, ისე უმინზოდ ყვავის, როგორც ბავშვს უხარია, მანამ სიცოცხლე მისთვის ნიჭია და არა – ვალი”. მესამე “მოცემულობა” – მარიტა შინარსობრივად კინძავს თითქოსდა მიმოფანტულ ორიენტირებს – წიგნის გმირების დარად მამიებელ მკითხველს ავტორი აპოზინებს საწუკვარ იდეაფიქსს, ჭკმმარინტად ამოზრდილ “ნატურის ხეს”.  
“ამ განაფხვების პირზე ვინახულე ჩემი სოფელი და მარიტას ნაწივაროც.  
ირგვლივ ყოველივე დამუნჯებუღიყო...  
ადარც ერთი ხე აღარ გადარჩენიღიყო მარიტას ეზოში.  
მხოლოდ ძველი კერის ადგილზე თავისით ბროწეული ამოვარგარებუღიყო.  
ჩემს წინ ახლად აყვავებული, ცეცხლისფრიანი ბროწეულის ყვავილი მიღიმოდა, მარიტას სახესავით ალაკრული...”

# სტუდიების სახლ-მუზეუმი იუნკა აღდგეს

სოციალურ ქსელში გავრცელდა სამოყვარულო კინოკამერით გადაღებული სამტრედიის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ერთი ეპიზოდი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტელევიზიამ (გ. უშვერიძე, თ. ზომერევი, გ. ჩიგოგიძე) ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით დოკუმენტური სურათი გადაიღო და 1971 წელს ორჯერ უჩვენა ტელემაყურებლებს.

სამტრედიის 100 წლისთავი 1970 წლის 28 ნოემბერს აღნიშნეს. იუბილარი ქალაქის სახელზე უამრავი მისალოცი ბარათი გაიგზავნა, მათ შორის იყო ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ალექსანდრე ფრანგიშვილის, აკადემიკოს ავლაძე ზურაბიშვილის, პროფესორ პროკოფი ჯანელიძის, პროფესორ ტრიფონ რუხაძის, მწერალ პარმენ ლორიას, საქართველოს სახალხო არტისტის, ეროსი მანჯგალაძის, საქართველოს სახალხო არტისტ ვახტანგ მეგრელიშვილისა და სხვების მისალოცი ბარათები. აკადემიკოსი ილია ვეკუა წერდა: "თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პირადად ჩემი სახელით მხურვალედ ვულოცავ სამტრედიის მცხოვრებთ მშობლიური ქალაქის სახელოვან იუბილეს.

სამტრედიამ, რომელიც მდიდარი თავისი რეკონსტრუქციური წარსულით, დიდი მიღწევები მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. იგი გახდა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე ქალაქი.

სამტრედიას ჩვენი რესპუბლიკის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. მან ჩვენს ერს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი და მკვლევარი მისცა – ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე. აკაკი შანიძე ქართული მეცნიერების სიამაყეა.

ძვირფასო მეგობრებო! გისურვებთ დიდ წარმატებებს შრომაში, ახალგაზრდებს სწავლაში, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში".

სამტრედიას მამინ უამრავი სტუმარი ესტუმრა და მათი უმეტესობა რეინიგზით ჩავიდა.


მასპინძლებმა სტუმრები რეინიგზის სადგურიდან ქალაქის ცენტრამდე მიააცილეს და იქედან სოფელ ნაბაკევიში გაემგზავრნენ.

ნაბაკევიში ვანო სტურუას სახლ-მუზეუმის გახსნას მძებნი – ვანო და გიორგი სტურუების ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.

ნაბაკევიდან ღონისძიების მონაწილეებმა სამტრედიის კულტურისა და დასვენების პარკში გადაინაცვლეს და საზაფხულო კულტურის სახლის დარბაზში გამოფენილი სამტრედიის დამზადებული სამრეწველო პროდუქციის ნიმუშები და სამტრედიის გენერალური გეგმის მიხედვით გაკეთებული მაკეტი დათვალიერეს.

დამთვალიერებელთა ინტერესი გამოიწვია მაკეტზე წარმოდგენილმა ახალმა შენობა-ნაგებობებმა და ტროლეიბუსის ხაზმა. იმ დროს კულტურისა და დასვენების პარკში ახალგაზრდობის სახლის მშენებლობასაც ჩაეყარა საფუძველი. საფუძველი ჩაეყარა ასევე, სამკურნალო სააბაზანო ცენტრის და ქალაქის წყალსადენის მეორე რივის მშენებლობასაც.

სტუმრები და მასპინძლები რაიონის მოწინავე საწარმოების დათვალიერების შემდეგ რეინიგზის ბაქანზე შეიკრიბნენ და ოჯახებით შეხვდნენ ძველი ორთქლმავლის გამოჩენას, რომელსაც ვეტერანი მემანქანეები შალვა ჯანელიძე, სპირიდონ აბზიანიძე და ნიკოლოზ ბოხუა მართავდნენ.



კულტურის სახლში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზეც პირველი შალვა ჯანელიძე გამოვიდა. შემდეგ სამტრედიის რაიონმასკომის თავმჯდომარე ამირან მანჯგალაძემ სიტყვა მოხსენებისთვის რაიონის პირველ მდივან ნოდარ კობრეიძეს გადასცა.

სიტყვებით გამოვიდნენ: მეთოთხმეტე სკოლის დირექტორი გიორგი კანდელაკი, მოსწავლე მარინა მილორავა, სოციალისტური შრომის გმირი გიორგი სტურუა, კონსტრუქტორი კარლო გოგოძე, პოეტი კარლო კალაძე, ვანის წარმომადგენელი ვახტანგ ლორთქიფანიძე, პროფესორი ბიძინა ნანიეშვილი, დიდი ჯიხაშის ტექნიკუმის დირექტორი პოლივარპე მიქაძე, ისტორიკოსი მიხეილ ნიკოლეიშვილი, პროფესორი თორნიკე ყიფიანი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კალაძე, პოეტი ალექსანდრე შანიძე, მოჭადრაკე ანზორ მანტიძე, კომაკეშირის სამტრედიის რაიონის პირველი მდივანი ნათელა გელეიშვილი.


როგორც აღვნიშნე, მამინ ნაბაკევიში ვანო სტურუას სახლ-მუზეუმი გაიხსნა, ღონისძიებაზე შესავალი სიტყვით სამტრედიის რაიონის პირველი მდივანი ნ. კობრეიძე გამოვიდა. ვანო და გიორგი სტურუების მოღვაწეობის შესახებ ნაბაკევის ვ. სტურუას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილემ პ. მიქელაძემ ისაუბრა. შემდეგ გამოვიდნენ: ს. კაკაჩიშვილი, გ. ხაყალია, ი. მელქაძე, ა. კაჭახიძე, ი. მიხელაშვილი, თ. ჭილაძე, ა. კალანდარიანი, გიორგი სტურუას შვილი დევი სტურუა და ვანო სტურუას შვილი პროფესორი ნიკოლოზ სტურუა. ნიკოლოზ სტურუამ მადლობა გადაუხადა სახლ-მუზეუმის გახსნის მოთავეებს.

აღსანიშნავია, რომ 1968 წლის 26 ოქტომბერს სამტრედიის კულტურისა და დასვენების პარკში ვანო სტურუას ძველი გაიხსნა (მოქანდაკეები ი. ოქროპორიძე და ბ. ავალიშვილი. არქიტექტორი გ. გაბაშვილი). მამინ ღონისძიებას ვანო სტურუას შვილები, პროფესორი ლენა სტურუა, საქართველოს სახალხო მხატვარი რობერტ სტურუა ესწრებოდნენ. ვანო სტურუას ძველს ლენტის გაჭრით საბურველი ლ. სტურუამ, ნ. კობრეიძემ და გ. ხაყალიამ ჩამოაშორეს.

პოეტებმა ზ. ბოლქვაძემ და ალ. შანიძემ საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

1972 წლის თებერვლისთვის ვანო სტურუას მუზეუმი (დირექტორი ე. ფანცულაია, მეცნიერ-მუშაკი მ. კლიმიაშვილი) დათვალიერებული სამი ათასზე მეტ დამთვალიერებელს ჰქონდა. იმ წელს ვანო სტურუას შვილმა მხატვარმა რობერტ სტურუამ მუზეუმს მის მიერ შესრულებული ფერწერული ტილო "1900 წლის მაისობა თბილისში" გადასცა.

საბჭოთა ხელისუფლების დემონტაჟის შემდეგ სახლ-მუზეუმი უყურადღებოდ დარჩა და სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა. ამიტომ მიმან-



1972 წ. სამტრედია. ვანო სტურუას სახლ-მუზეუმი ნაბაკევიში. რ. ბეჯიას ფოტო.



1970 წ. სამტრედია. ვანო სტურუას სახლ-მუზეუმის გახსნა ნაბაკევიში. რ. ბეჯიას ფოტო.



სამტრედიის 100 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა კულტურის სახლში. მარჯვნიდან მარჯვნივ: კარლო კალაძე, ნიკოლოზ კალაძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი, დედალა ჩიგოგიძე, ნოდარ კობრეიძე, ამირან მანჯგალაძე, ნოდარ ბახტაძე, თაილოვ მიქაძე, დევი სტურუა. რ. ბეჯიას ფოტო. 1970 წ. 28. 11.

ნია, რომ სახლ-მუზეუმი, როგორც "სტურუების" სახლ-მუზეუმი ისევ უნდა აღდგეს. ვანო და გიორგი სტურუების გარდა, მუზეუმში შესაძლოა გამოიფინოს მათი შთანამოქმედების – მხატვარ რობერტ სტურუას, რეჟისორ რობერტ სტურუას, მწერლების მელიორ და დევი სტურუების მოღვა-

წეობის ამსახველი ექსპონატები. 2017 წლის გაზაფხულზე ეროვნულ გალერეაში გამოფენილი იყო საქართველოს სახალხო მხატვარ რობერტ სტურუას ნამუშევრები და ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რობერტ სტურუას ნამუშევრები ნამდვილად იმსახურებენ მულ-

მივმოქმედ ექსპოზიციას. ვფიქრობ, სამტრედიის ხელმძღვანელობა ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში კულტურის ახალი კვრა გაიხსნას.



“ჯეოკოსპიტალსი” 6 წლისაა

დაბადების დღე, 6 წლის შესრულება “ჯეოკოსპიტალსის” სამტრედიის სამედიცინო ცენტრმა 22 აგვისტოს, ცენტრალური ოფისიდან გამოგზავნილი სადღესასწაულო ტორტითა და “ჯეოკოსპიტალსის” ლოგოიანი ბუშტებით, განსაკუთრებულად აღნიშნა. ამბულატორიის ცენტრალურ შემოსასვლელში სახელდახელო მაგიდა გაიშალა, გაიხსნა შამპანური, თანამშრომლები ერთმანეთს ტკბილეულით უმასპინძლებოდნენ და ჭიქით ხელში სამედიცინო ცენტრის 6 წლის შესრულებას ულოცავდნენ, უსურვებდნენ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

ამბულატორიის ხელმძღვანელობამ ზეიმისთვის საგანგებოდ სწორედ ის დრო შეარჩია, როცა სამედიცინო დაწესებულებას პაციენტები შედარებით ნაკლებად მიმართავენ. რაც შეეხება დღის საათებს, ოუბილარ ამბულატორიაში შემოსულ ადამიანებს ადმინისტრაციის თანამშრომლები ტკბილეულით უმასპინძლებოდნენ.

“ჯეოკოსპიტალსის” სამტრედიის ამბულატორიული ცენტრი იმ დღეს, მართალია, 6 წლის ოუბილეს აღნიშნავდა, ყოფილ რაიონულ პოლიკლინიკას და მის სამედიცინო მედპერსონალს სამტრედიის მოსახლეობა დიდი ხანია, იცნობს და ენდობა.

აქ არიან ექიმები, რომლებსაც საზოგადოება თავისი პროფესიონალიზმით და მაღალკვალიფიციურობით გამოარჩევს, ყველა მათგანი საერთო აზრზეა, თუ “ჯეოკოსპიტალსის” სამტრედიის ამბულატორიის ცენტრი კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, ეს მათი ხელმძღვანელის, ლუარა კახიანის დამსახურებაა.

6060 ნახტავი



სპორტი

ტურნირი ავთანდილ ქუთათელაძის სსოვნას მიეძღვნა

გაუსაძლისი სიციხის მიუხედავად ქალაქში სპორტული ცხოვრება ჩქევს. ამის დასტურად შეიძლება, ახლახან გამართული ტურნირი მიეჩინოთ კალათბურთში, რომელიც ღვაწლმოსილი მწვრთნელის ავთანდილ ქუთათელაძის ხსოვნას მიეძღვნა.

ტურნირში ექვსი გუნდი მონაწილეობდა, თითოეული გუნდი კი, როგორც სამტრედიელებით, ისე ქალაქში სხვა რეგიონებიდან ჩამოსულებით იყო დაკომპლექტებული.

პირველი ადგილი გუნდ “67”-ს ხვდა წილად, მეორე ადგილზე გუნდი “23”, ხოლო მესამეზე გუნდი “ვეტერანები” გავიდნენ.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ზაურ ჯანელიძე დასახელდა.

ტურნირმა, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობისა და გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა, დამსწრეთა და მონაწილეთა ერთგვარი მოწონება დაიმსახურა.

შესაბამისი პრიზებით დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” ამავე სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სპორტის საკითხებში ლაშა ლორიაძემ.



ლუარა კახიანა



ფრენბურთი

საინტერესოდ, ახარტულად წარმოართა ტურნირი ფრენბურთში ქრის თემში შემავალ სოფლებს შორის, რომლის ინიციატორიც გახლდათ მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი ქრის თემში, რეჟან ივანიაძე.

საფინანსო თამაშს მუნიციპალიტეტის გამგეობელი, ბატონი ვალერიან ფოცხვერია დაესწრო.

პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები შესაბამისი თასებით დაჯილდოვდნენ.

ლუარა კახიანა

ეფხოპის გზის სათავეებთან

საქართველო ერთ-ერთი უძველესი და განსაკუთრებით სახეს გზაჯვარედინია ციხეჭეთში, რომელიც თავისი მოდერნიზაციის, ეთნოლოგიის, კულტურისა და ფოთიერების ფეხს სდგამს. აქედან რაღაც დემორატიული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში იყო “ვეფხისტყაოსანი”, ხოლო მისი ავტორი, რუსთაველი – დემორატიული იდეებისათვის დევნილი. ამავე ეპოქის დემორატიული მმართველობის ჩანასახი გახლდათ პირველად საქართველოს ისტორიაში ქალი მონარქის – თამარის ტახტზე დასმა, მაგრამ დემორატიის, როგორც ხალხის მმართველობის სახელმწიფოებრივი წყობის დამკვიდრება საქართველოში მე-XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო.

ოპულ-ამერიკული ორიენტაციის მოაზროვნე სერგეი მესხი. ამ ახალ გზას სერგეი მესხი უწოდებდა დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და მეცნიერების გაცნობას და მის მიღწევას ჩვენში გადმოტანას.

შარიანი გზაჯვარედინი – ხალხთა დიდი გასაჯალი – გზა და ხიდი ევროპასა და აზიას შორის ყოველთვის გავლენას ახდენდა ქვეყნის პოლიტიკაზე, მის ეკონომიკაზე, კულტურასა და ფოთიერების დემორატიული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში იყო “ვეფხისტყაოსანი”, ხოლო მისი ავტორი, რუსთაველი – დემორატიული იდეებისათვის დევნილი. ამავე ეპოქის დემორატიული მმართველობის ჩანასახი გახლდათ პირველად საქართველოს ისტორიაში ქალი მონარქის – თამარის ტახტზე დასმა, მაგრამ დემორატიის, როგორც ხალხის მმართველობის სახელმწიფოებრივი წყობის დამკვიდრება საქართველოში მე-XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო.

“...ყოველგვარი ცოდნის, განათლების, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატებების წყარო, – ამბობდა იგი, – ჯერჯერობით დასავლეთ ევროპა არის. ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწევიან და აქედან გამომდინარე ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის-თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგად და ჭეშმარიტად გაუცვნიან. გაუხალხთებულსა და ღარიბს საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალთა უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილდღეობის მომნიჭებელი სახსრები.” (ს. მესხი, 1903:109).

დემორატიული იდეებით გამსჭვალულ დიდ სამოციანელებს ილიას მეთაურობით ერთბაშად მოუხდათ ბრძოლა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ადგენისათვის, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის, ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის...

სერგეი მესხი 70-იანი წლების ევროპას ამავე პერიოდის რუსეთზე მაღლა აყენებდა. იგი ევროპაში უფრო მეტ საგულსხმოსა და სამაგალითოს პოულობდა თავისი ქვეყნისათვის.

“...ახალმა თაობამ, უფრო სწორად, მისმა მოწინავე ნაწილმა მონახა ახალი გზა”, – წერდა გაზეთ “დროების” რედაქტორი და ილიას თანამებრძოლი, ევროპულ-ამერიკული ორიენტაციის მოაზროვნე სერგეი მესხი. ამ ახალ გზას სერგეი მესხი უწოდებდა დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და მეცნიერების გაცნობას და მის მიღწევას ჩვენში გადმოტანას.” (ს. მესხი 1963:116).

ევროპულ სამყაროსთან ქართველი ხალხის დაახლოების უმთავრეს ხელისშემშლელ პირობად მართებულად თვლიდა იმ გარემოებას, რომ რუსეთთან ჩვენი ქვეყნის შეერთების შემდეგ იგი, ფაქტობრივად, მთელ გარესამყაროსაგან აღმოჩნდა მოწყვეტილი და “ქართველი ხალხი, რუსეთის გარდა, არც ერთის

განათლებულის ხალხის წარმატებასა, წინამსვლელობას არა ჰხედავდა, რომ იმათი მაგალითისათვის მიეძახა” (ს. მესხი 1963:116).

ამ კარდახშულობის გარღვევის საქმეში სერგეი მესხი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს დემორატიულად მოაზროვნე შემოქმედებით ინტელიგენციასა და ამ იდეათა გამომწვეურების წყაროს – ქართულ პერიოდიკას ანიჭებდა: “თავალი გამოაჭყეტინოს ხალხს, წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გამოადვიდოს, გააგებინოს, რომ ერთ წერტილზე გაჩერება დამღუპველია ხალხისთვის” (ს. მესხი 1903:110).

რუსეთის იმპერიას საგონებელში აგებდა საქართველოში სამოციანელთა მიერ დაწყებული რეფორმები და დემორატიული პროცესები, რადგან მათ კოლონიური ქვეყნის მართვისათვის სულ სხვა მიზნები და გეგმები ჰქონდათ. ეს იყო ქართველი ხალხის გარუსების ცდები.

ილიას და მის თანამებრძოლებს კარგად ესმოდათ, რომ თავისუფლების ნების გამოძღვანება ცოდნაშია. ცოდნა განათლებაა, განათლება კი თავისუფლებაა.

“...თავადანანაურთა ულტრა-არისტოკრატიული ფენები” (ასეთები ძალიან მცირე იყო) ილიას არ სწყალობდნენ, არ უყვარდათ იგი დემორატიული აზროვნების გამო... ამ დიდი ქართველის მსოფლმხედველობა, მისი მიმართულების გზა და გეზი ყოველ დარგში – ეროვნული, სოციალური თუ პოლიტიკური იყო ფართო, პროგრესული, დემორატიული და რადიკალური. დიდმა მისი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა, ილია, უხ-

ვად აღჭურვილი დიდის კულტურით და მაღალის მორალით, ერთიანი და უდრეკი, უცვლელი და ურყევი იყო თვით სიკვდილამდე” (გ. შარაძე 1986:191)

ილია ქართველმა საზოგადოებამ მის სიცოცხლეშივე აღიარა ყველაზე დიდ პიროვნებად. ასეთი პასუხი გაეცა ფრანგ მოგზაურს შკოთხვაზე: “ვინა გვათ ყველაზე დიდი პიროვნებო? – ეს არის ილია!” ამიტომაც ებრძოდნენ ილიას. მარქსისტული იდეებით ნასაზრდოები სოციალ-დემორატები, განსაკუთრებით ნოე ჟორდანი და ფილიპე მანარაძე. 1898 წლიდან, გახდა თუ არა ნ. ჟორდანი განუთ “კვალის” რედაქტორი, მაშინვე იდუარო ბრძოლა დემორატებზე დასაყრდენად გაზეთ “ივერიას” და მის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს. მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიანდა ჩამორჩენილებად და ილია კი შემამულე-ანაურთა ინტერესების გამომხატველად, ხოლო ბანკები “ბურჟუაზიულ-ფინანსურ დაწესებულებად.”

ილიამ “ახალ-მოსულის” ფსევდონიმით სუთი სტატით უპასუხა მოწინააღმდეგეს. ესენი იყო: “უმეცრების ფართი-ფურთი”, “პატარა საუბარი”, “ახალი უმეცრებანი ბ-ნი ნოე ჟორდანიასი”, “ქარაფმუტობა, ორთავიანობა, და ორპირობა უმეცრებისა” და “ისევ და ისევ ბ-ნი ჟორდანიას უმეცრებანი და მისი წაჯვკ-უკუჯვკობანი”. პირველ პასუხში ილია აღნიშნავდა: “ამაზე უკეთესად გაბიბრუება, ამაზე მეტად გაუპატოურება და შეგინება, მეგრე ვისი? – მიოელის ხალხისა, მიოელის ერისა, განადა იქნება! მაშინ, როცა ბ-ნი ჟორდანი ჩემზე ხელს უშვერს, ჩემზე აქეზებს რიდაცისათვის საქართველოს ხალხს და თვითონ-კი, რო-

მელმაც მიოელი ხალხი, მიოელი ერი უგუნურად ჩათვალა, დონიჯი შემოუყრია და მის მიერ გაუპატოურებულს საქართველოს ერსვე უბრძანებს ბატონსავით: იმედია, ამას არ შეარჩენთ “ახალ მოსულსაო”...

...თავად-ანანაურთა დააარსა ჩვენი ბანკი, მის მოგებაში წილი არ ჩაიღო, იგი საზოგადო საჭიროებას შესწერა და თქვენ კი გამოსულხართ და ეუბნებით: ეგ რა ჰქენით, თქვენი საფლავი თქვენის ხელითვე რათ გაითხარეთო. კაცობაა ასეთი საქციელი? ეს არის თქვენი ახალი მოძღვრება! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალი კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა!” (ი. ჭავჭავაძე 1956:241-283).

სოციალ-დემორატები დაუნდობლად ებრძოდნენ ილიას. მათ ილიას ფენომენი მისსავე სიცოცხლეში მოჰკლეს, როცა იგი სისხლისმსმელ შემამულედ გამოაცხადეს. 1898 წელს, როცა ნ. ჟორდანი აწერდა “კვალში” თავისი სტატით “ქართული პრესა – გუშინ და დღეს”, კვლავ აუგად იხსენებდა ილიას, იოსებ იმედაშვილი ხალხის სახელით სახლში მივიდა მასთან.

“...ნოე, ილიას თუ შეებედეთ, თქვენ თავს როგორა აკადრეთ ქართველი ერის საამაყო შვილის ასე გაბიბრუება, - განა, ეს შესაწყნარებელია?! ილიას ასე აუგად ხსენება კარგ ნაყოფს არ მოიტანს, ეს იცოდეთ!”

– შენ ვინ გითხრა (ნოე ენას უკიდებდა), რომ ილიას, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს, ბელეტრისტსა და პოეტს ვეხებოდეთ, – იის ამ მხრივ



# ცხენოსნობაში “სამტრედიის ბრან-პრი – 2017”

6064 ნაგოტაუზილი

25 აგვისტოდან 28 აგვისტოს ჩათვლით იპოდრომის ტერიტორიაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივითა და აიპი საცხენოსნო კლუბის ორგანიზებით ტრადიციულად გაიმართა შეჯიბრი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში: ცხენბურთი, ისინდი და დოლი 1200 მეტრ, 2400 მეტრ, 6000 მეტრ დისტანციაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებული საცხენოსნო კლუბებმა.

სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწრის გუნდმა, მეორე ადგილი – სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბის გუნდმა, მესამე ადგილი – ჭალადიდის გუნდმა.

გუნდურ ასპარეზობებში გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ხოლო აბაშის სოფელ ეწრის გუნდი გახდა სამტრედიის ბრან-პრის მფლობელი და განსაკუთრებული ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა.

ასევე გამოვლინდნენ გამარჯვებულები დოლი სხვადასხვა დისტანციაზე. ესენი იყვნენ: თორნიკე თორია – 1200 მეტრი, დავით თევზაძე – 2400 მეტრი, ვარდენ კეკელიძე – 6000 მეტრი. ეს უკანასკნელი ყველაზე დიდი, 6 კილომეტრიანი რბოლა იყო. ვარდენ კეკელიძე იყო სოფელ ეწრის სისხლის ცხენი – ბავარიას მონაწილეობით საუკეთესო მოასპარეშე გახდა.

დოლი გამარჯვებულები ასევე დაჯილდოვდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. ფასიანი საჩუქრები მხედრებს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილემ ღონა კრავიცივი-

ლმა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის, განათლების, ძველთა დაცვის საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ გადასცეს. ასევე საჩუქრები გადასცეს გამგეობის წარმომადგენელმა ტერიტორიულ ერთეულში, თენგიზ ცაგურამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელმა, ბადრი შენგელიამ, გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა დავით ბაღდავაძემ, სპეციალისტმა სპორტისა და ახალგაზრდულ საითხებში ეკა კეკელიძემ.

ეკა კეკელიძე: “სამტრედიის გრ-



ან-პრი – 2017”-ს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები სტუმრობდნენ. 3 დღის მანძილზე არ შეწყვეტილა გულშემატკივართა მხარდაჭერა. მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული. ისინი ყოველწლიურად ელოდებიან ზემოაღნიშნულ ღონისძიებას, რომელიც უკვე ტრადიციულად დამკვიდრდა ჩვენს მუნიციპალიტეტში. იგი ხელს უწყობს ცხენოვების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ასეთ ღონისძიებებში ეტაპობრივად ჩართულია მოზარდი თაობა, რომლებსაც ყოველგვარი გადასახადის გარეშე ამცადინებენ საცხენოსნო სპორტულ კლუ-

ბში. ცხენოსნობის ეროვნული სახეობების განვითარება არა მარტო ფინანსურად აჯანსაღებს ადამიანებს, არამედ ხელს უწყობს ეროვნული სულის ჩამოყალიბებას და უკვდავყოფს საქართველოს ისტორიას”. განსაკუთრებულად სასიამოვნო და საამაოა სამტრედიელებისთვის ის ფაქტი რომ მთელს იმერეთში ერთადერთი საცხენოსნო კლუბია და ისიც სამტრედიამში, რომელიც აქტიურად ერთვება როგორც ადგილობრივი ისე საქართველოს მასშტაბით გამართულ ტურნირებში”.

კკლასიკოსია და ჩვენში ძნელად თუ ვიხივო შეგედაროს!”, – მე ვებრძვი მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებს... აი, რამაა ჩვენი განსხვავება! დღეს ჩვენთვის ილიას დროა აღარ გამოდგება.

– მე კი მგონია, მოვა დრო და თქვენც ილიას დროსას შეეფარებით. ეს კარგად იცოდეთ, ვისაც საქართველო უნდა – ილიას დროსას ვერ გასცდება! (ი. იმედაშვილი 1987:319-320).

ცნობილია, რომ ილია უცხოელთა სტუმრობას საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან იგი ევროპისაკენ მიმავალ გზად და ხილად მაჩვენებდა. ილია ამბობდა, რომ ისინი “მოჰყვინდნენ მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა ერი, რომელსაც უცეკს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიყვითისა და ბედნიერებისათვის”... ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმის გონება და იტერის გული, რომ აქაც აქვთ თავისი ნატურა და თავისი იმედი, რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოვებან” (ი. ჭავჭავაძე 1961:138).

1895 წლიდან ილიასთან შემოქმედებითი ურთიერთობის ხიდი პირველებმა გადაეს და-ძმა უორდროპებმა, გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა. ისინი, ქართული კულტურით მოხიბლულნი, თავიანთ ქვეყანაში აქვეყნებდნენ ნაშრომებს საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, ინტერესდებოდნენ ქართული ენით, კულტურით, ტრადიციებით და ქართული კულტურის მონაპოვარს აცნობდნენ მის თანამემამულეებს. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავდა მარჯორი უორდროპი:

“...ვიმედოვნებ, ინგლისელი საზოგადოება მალე უფრო უკეთ გაეცნობა ქართველი ხალხის ძველსა და ახალ ლიტერატურას, რომელიც მასწავლებლისათვის თითქმის სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის დასავლეთისაკენ უფრო ისწრაფოდა, ვიდრე აღმოსავლეთისაკენ...”

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, ძირითადად, ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს: ძველი თაობა – ილიას დასი – ეროვნული იდეების მქადაგებელი და ახალი – სოციალ-დემოკრატიები (მესამე დასელები), – მარქსიზმის იდეოლოგიის მიმდევარნი. ამ ცხარე და მწვავე დაპირისპირებას აუცილებელი გახდა ისეთი ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის დაარსება, რომელიც დემოკრატიზმსა და პატრიოტიზმს ერთმანეთს დაუკავშირებდა, ეროვნულ ნიადაგზე სოციალურ მოძრაობას გაშლიდა. ამ მიზნით საქართველოში სოციალ-დემოკრატიისტმა სამსონ ფირცხალავამ 1902 წელს დააარსა განებით “ცნობის ფურცელი”, ხოლო პარიზში 1903 წელს სოციალ-დემოკრატიისტების ლიდერის არჩილ ჯორჯაძის ხელმძღვანელობით დაარსდა პარტიის ორგანო – გაზეთი “საქართველო”, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა.

ევროპაში გაზეთი თავისუფლად და შეუზღუდველად აშუქებდა პარტიის მოქმედების პროგრამას. საქართველოში “ცნობის ფურცელი” და ევროპაში “საქართველო” 1901-1903 წლებში იდეურად შეამზადეს და მრავალი მომხრე გაუჩინეს სოციალ-დემოკრატიისტურ პარტიას, რომელიც 1904 წლის აპრილში ოფიციალურად გაფორმდა. პარტიამ ყე-

ნევაში შექმნა “საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი”. ისინი საქართველოშიც და ემიგრაციაშიც, ძირითად დებულებებში დიდ სამოციანელთა პოზიციას აგრძელებდნენ, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისთვის იყო გამომწვევი.

ნიმანდობლივა გერონტი ქიქოძის შენიშვნა: “...გამანათლებელი თუ გამათბობელი კულტურული ენერჯია დასავლეთ ევროპიდან ეძლევა კაცობრიობას, ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვითშემცნობი და მომქმედი ერისთვის. უამისოდ მის კერას გაცივება და მის სხეულს გაყინვა მოელის... იმედი ქართველი ერის თავის დასარსებლად ვიწრო და ნუსტან სენაკს, სადაც ის დღეხანს იყო გამომწვევადელი და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოა”...

1921 წლის 25 თებერვლიდან, თავისუფალ სიტყვას, ქართულ სულიერებას, დიდი სამოციანელების ნასაზრდოებ დემოკრატიულ იდეებს, პრინციპებს, დირებულებებს საბჭოთა საქართველოში რეინის ხუნდები დაედო.

ქართული დემოკრატიის ხმა მხოლოდ ემიგრანტთა მალისხმევით თუ აღწევდა საქართველოში.

რუსული პოლიტიკის პრობლემა ყოველთვის იყო თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი და საქართველო. 1921 წლის 7 მაისს კონსტანტინე გამსახურდია შეახსენებდა ბოლშევიკების დიდ ბელადს (“ღია წერილი ლენინს”): “ყველაფერი შეიძლება წართვიან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგრძნებას ვერავინ წართმევს მას”...

1921 წლის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ბოლომდე სჯეროდა, რომ

ვერც სტალინი და ვერ მისი მეგობრები თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველებს შეუდრეკელ სულს ვერაფერს დააკლებდნენ. “ამაო შრომაა, ათასი წლებით ნაწრთობ მებრძოლ სულს მოსკოვი ვერას დააკლებს”, – აცხადებდა პოლიტიკური ემიგრანტი ალექსანდრე ცომაია (“ქართული აზრი” 1955:3).

1959 წლის აშშ-ს რეპორტაჟი საქართველო ითვლებოდა “დატყვევებულ ერთა” სიაში. რუსეთის თავისი იმპერიის 600 წლოვანი ისტორიის მანძილზე დაპყრობითი ომების წარმოების, ხალხთა დამონებისა და მათი მარცვის მეტი არაფერი უკეთებია. იგი იბრძვის სრულიად გარყვეული მიზნებისათვის: “მოსკვა იესტ ტრეტეტი რომ, ა ჩეტვიორტომუ ნე ბივატ”, ამ რუსულ ფორმულაში აშკარად არის გამოთქმული მსოფლიოში გაბატონების იდეა და ამ იდეაზე რუსეთის სახელმწიფოს არასოდეს ხელი არ აუღია” (“ქართული აზრი” 1955:4).

ემიგრაციაში თავის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეცდომებს აღიარებდა და დიდ 60-იანელთა შეხედულებას იზიარებდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, რომელიც თავის “რჩეულ ნაწერებში” აღნიშნავდა: “... დიდი ხანი არ არის, რაც გამოვედით ევროპის სავალი გზის ხაზზე, ჩავდევით მის ფერხულში. ეს არ არის რაღაც უცაბედი, თვითნებური მოვლენა. ის აუცილებელია, ფაქტალურია, მას ვერ აცდება ვერც ერთი ხალხი. ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახალ ისტორიას სხვა გზა ჯერ არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა. ევროპა მიდიოდა ამ ხაზზე სტიქიურად, ვინაიდან მსგავსი ისტორიული მაგალითი თვალწინ არ ქონებია – და სხვისი გამოცდილებით ვერ

ისარგებლებდა. ის თვითონ ქმნიდა თავის ისტორიას, იყავდა წაღლით ხელში ახალ ევლიან გზას, მიდიოდა წინ, მუდამ წინ...”

... ჩვენ, მაღლობა დღერთს, არ ვიმყოფებით უდაბნოში, არ მივდივართ უგზო-უკვლით. რაკი ჩავდევით ევროპის ფერხულში, ვიცით, რასაც ვაკეთებთ. საითკენ მივმართებით...” (ნ. ჟორდანიას 1990:262).

ასე რომ, ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გააფრეს გზა ევროპისაკენ და საქართველოს მომავალს ევროპის დიდ ოჯახში შეადგინეს.

ათეული წლების განმავლობაში ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციით თანდათან მტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ძველი და მაღალი ცივილიზაციის ქართველ ერს ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება და ხალხის ბრძოლა ამ მიმართულებით იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა.

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ციხური ორდენის წევრის ტიციან ტაბაძის სიტყვები: “...ამჟამად, ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დაუხვედეთ ეროვნული შემეცნებით...”

მაშინ იქნება ნამდვილი რენესანსი და ამ ეროვნული აღორძინების სადღეგრძელოს სრულიად სერიოზულად ვსვამ “ცისფერი ფანქებით...”

დღეს, როცა ჩვენი დიდი სულიერი წინაპრებისა და ქართული პოლიტიკური ემიგრანტების ნატურა და ოცნება განხორციელებულია, საქართველოს არჩევანი ევროინტეგრაციაში სავსებით კანონზომიერი მოვლენაა.

მარიამ მარჯანიძე

# სიცოცხლის კახილი

სოფელ მთისძირში არხის გათხრისას აღმოჩნდა უძველესი სასაფლაო, ერთ-ერთ სამარხში იპოვეს ადამიანის ჩონჩხი, ღვინის დოქი და სურა.

ჩინარები უხმოდ ღვანან,  
 მზეს დაუწყეს იჭენეულად თვალთვალი...  
 მიწა გალღვა,  
 მიწას ცეცხლი წაეკიდა,  
 გაირღვა და  
 ამოფრინდა საფლავი.  
 საფლავია როდინდელი,  
 მერამდნე ზაფხულის თუ ზამთარის,  
 ნეტავ ვინა?  
 – ვინ არის და აქაური,  
 აქვე ჰქონდა  
 ვენახიც და სახნავიც!  
 შე, შავ დღის და ბედის კაცო,  
 ყველაფერი რომ გეგონა ზღაპარი,  
 ზღაპარი თუ ზღაპარია,  
 ვინ ანთო სიყვარულის ლამპარი...  
 ის ზღაპარი  
 ასი ტყვილი თუ ყოფილა,  
 ასში ერთი  
 ხომ ყოფილა მართალიც.  
 სიკვდილმა ვით გაგიმეტა

წასაყვანად კაცი ამა სოფლიდან,  
 პე, საწუთროვ,  
 წუთსოფელი რა არი,  
 თვით სიყვდილიც  
 უკვდავება ყოფილა.  
 ბედა თუ უბედობა,  
 თუ ცხონება, გული რომ მოგიწამლა,  
 სულერთია,  
 შენი სული  
 აქ არი,  
 შენი ძვლებიც,  
 ვერ შეჭამა მიწამა.  
 სიკვდილისთვის სად გეცალა,  
 ისლით გქონდა დასახური ჯარგვალი...  
 რა გეგონა,  
 სამარეს ვით მოაშურე,  
 ვით დაგჯახნეს მარჯვენ-დაუჯახნავი,  
 დლოცვილო გუთნის დედავ,  
 გუთნისდედურს რომ მღეროდი ჭალაში,  
 ვის მიუგდე  
 მოპირული სახნისი...  
 ხომ იცოდი, ერთი კაცი

ცოლო არის ჭამაშიც,  
 კვალი დაგრჩა გასაველები,  
 გაჩენის დღეც დამეხილა აჯალის,  
 ანეული გაეცდინა,  
 ანეულის სადარდელი  
 აქ გკლავდა და  
 სამარეშიც ჩაგყოლია მტანჯავი.  
 ვაზიანში ვაზი გქონდა  
 ძირნაკურთხი რქაწითლის და ციცქასა...  
 ჭურ-მარანში  
 გაგცვეთია ქალამები,  
 დაპხაროდი,  
 ვაზის ცრემლით აბოხებულ მიწასა.  
 ახარებდი მოყვარესაც,  
 მტერს ხმალდახმალ დახვედრიხარ მტრულა-  
 და,  
 მტრის ჯავრი არ ჩაგყოლია,  
 ჩაგყოლეს ღვინის დოქი  
 სურა და...  
 იქნებ ვეღარც მოასწარი  
 აგვესო და დაგეცალა ხელადა,  
 სიყვარული დაგელოცა  
 შენებურად,  
 ძველებურად,  
 სიყვარული ხომ ყოფილა ძველადაც!  
 პაპა ხარ თუ პაპის პაპა,  
 მუზობელი,  
 მოყვარე თუ მოგვარე,  
 დაგყურებ და  
 ვინც ხარ გიცან,  
 გიცანი და  
 ზღვა ცრემლები მომგვარე.

იქნებ შენაც შემომყურებ  
 შენებური არწივური ცქერითა,  
 მიცანი და  
 თქმა გსურს, მაგრამ...  
 სათქმელი კი არ ამოდის ყელიდან.  
 ო, რად ღირდა ერთი სიტყვა,  
 ერთი სიტყვა შენი ერთი ნათქვამი,  
 ვაგლახ,  
 დრომა ისე როგორ ჩაიარა,  
 არ დატოვა სადმე შენი  
 ან სახელი ან გვარი.  
 დრო გასულა,  
 დოქით ღვინო დაგლევიდა,  
 დაგლევიდა მტერიც შინ თუ გარეთა...  
 ე, მაგ ღვინოს –  
 საქართველოს სადიდებელს  
 შენ დალევიდა,  
 აბა სხვა ვინ დალევიდა!  
 ცხოვრება თუ მწარე გქონდა  
 და თვალები უიმედოდ დახურე:  
 სამარეში ჩაყირული შენი ძვლები,  
 ახლა მზეზე ხომ გაათბე,  
 ეს ცხოვრება,  
 მაინც ხომ ინახულე!  
 შე, სამარის გამტყუებელი  
 მოდემის კაცო უბერებელ მუხათა, –  
 სუფრის თავში დაგვიჯექი,  
 სიცოცხლე და სიყვარული დაგვილოცე  
 შენებურად,  
 ძველებურად,  
 უხვად...

გვლურაძე თინათინ

## ქვის კალენდარი საპარაში

საპარის უდაბნოში, ვეგებზე, სამყაროს ყველაზე იდუმალ ადგილას, არის ერთი ასტრონომიური "ჭყაყრილი", რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია Nabta-ს სახელწოდებით. Nabta ათასი წლით ადრე შეიქმნა სტოუნჰენჯამდე და დღემდე ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ და გამოუცნობ "ნაგებობას" წარმოადგენს. იქ, სადაც Nabta არის განლაგებული, უწინ ტბა უნდა ყოფილიყო. თუ გაეითვალისწინებთ ქვითა განლაგების კონსტრუქციასაც, შეიძლება, ეს სწორედ ტბისადმი მიძღვნილი საკულტო ნაგებობა ყოფილიყო ან შემდგომი და უკვე არსებული პროცესების ერთგვარი "კალენდარი". ისტორიული შესწავლის შემდეგ ღვინდება ამ ადგილებში სხვადასხვა ტბებისა და ტენიანობისას მომატებული წყლების ნაკადის არსებობა.



## კალეების აუხსნელი თვითგაკვლელობა

ხიდი, რომელიც აშენებულია 1859 წელს ოვერტაუნში (შოტლანდია), ცნობილი გახდა ძაღლების გამოუცნობი თვითგაკვლეობების მთელი სერიის შემდეგ. პირველად ასეთი ინციდენტები დაფიქსირებული იქნა, დაახლოებით, 1950-60 წლებში, როდესაც შემჩნეული იქნა, რომ ძაღლები მოულოდნელად ხტებოდნენ თხუთმეტმეტრიანი ხიდიდან სიკვდილთან შესახვედრად.



## ი...ს

იყო ბავშვური, მხნე გატაცება, თუმც, არ ვიყავით ბავშვის ასაკში და არც ყოფილა სულის დაცემა ჩვენი სურვილის სულის განცდაში. და როს ოცნებას ვეღარ გაურბის გული ხალისით გარემოცული, არ წამს, ხალისი გვერდს თუ აუელის, სურვილთან არის ის შეფიცული. და როს ოცნების ახალ ბილიზე მივარე მზის ნებად იწყებს გალობას, სად მართო რჩებით შენ და პირიმზე და ელოდებით გამოდარებას.

დავით ჩიჩუაძე

...მმეთქმის, – ცხოვრება?!... "გიჟმაჟუ"... ყოფითმსპშინ ვგონებ ვვატარე. – ზენაა... მმო-წამმ-მმე... დასტურია სიცოცხლე ჩემი... – განცდა-წვალა, "მმაცდურ საქციელს გარდავატანე?!... – კერძო, ღრმით რრა მმაქვს?! – ან ვვით ვვიქნები რომ ყოფითმს მმემე?!... – ან-რრა-კითხვაა? – რრად ვვარ სიცოცხლით უკმაყოფილო?! – ...მმით!!! – რრომ ჟამმ ბნელეთს. – ბეწო-სხივი სჯობნს "ჩემო მობილო".

## ... უსიყვარულობა – გაბი...

... დარღვეულ გულებს ვკერავ, – სულით ვმოქმედებ თერძებრ, სიყვარულისა ენაზე, – შენით "სიმრთელეს" ვეძებ?! – მმუდამ – ნიადაგ ველავ, – ოდენ შთამონეს – ვკერძებ, – ... ამოლო "ბედის-წერავ" მტაცებულად-პხარ, – მხეცებრ; ნნუ ჰფიქრობთ, ჭკვა გაქვსთ თავსში, სიტყვას განპყარავს ქვენა; მმეფეე გახლავსთ ცასში, – ჭკვა და გონს მმართავს ზენა; – სული მმითა არს ცხადსში, – რომ ცრულ ვვარსებობთ ყველა, ტყვე ვართ საკუთარს ტყავსში, აქამსც – და, არცრრა მმსჯერა. ... სული სივრცასა ფრენავ, – მმტანთსჯ ვიყარგები ცულმპში ჩემდამი ჟამმითა დენავ, – სრულ სიგრძეგანობ წყლულში, – "...დღეს" რრაც მმახილე, "ზენავ!" – ეს ხომ ვიხილე გუშინ?! ...ოო ენავ, ღმრთისს – ამ მთმენა, – შენთ ფერხით ჰვსში "ბაიფუში".

ანზორ ზანაძე

## ლოლადროვის თაფრი

ნუპალში ნაპოვნი იქნა დაფა, რომლის ასაკიც 12000 წელია. როგორც ჩანს არა მარტო ეგვიპტეს სტუმრობდნენ უცხოპლანეტელები ძველ დროში. თაფრის ფორმის დაფაზე მკვეთრად არის გამოსახული მფრინავი ობიექტი და ადამიანთა ფიგურები.



# სწავლის პლანეტი

ლევან გაბეჩავა

**“ეჭიმი, ანუ ეჭიმი არაბთა ენა, ქართულად მკურნალი ეწოდებოდა” – გვითხვით სულხან-საბას ლეჟნის მიერ. “მკურნალი სწავლათა მღვთვანთა, ხოლო მკურნალითა არს სწავლათათა კაცობრივთა სწავლათათვის შთაბრძნავლათა”.**

ძალზე ბევრი არიან ადამიანები, უცნობი მკურნალითა თავიანთი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი რომ დატოვეს სამტრედიის ისტორიაში, სამტრედიელთა სსოვნაში.

მადლიერი პაციენტები არ ივწყებიან მათ.

ყველა ასაკში ტრავმა ადამიანის გარდაცვალება, მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვალები კანონზომიერებაა იმერში გადასახლება, მაგრამ ტკივილი ორმაგდება, როცა ახალგაზრდა, პერსპექტიული კაცი გარდაიცვლება შემოქმედებითი ზეობის ხანაში, შუახნის ასაკს მიუ-



ღწეველი. დღეს იმ ადამიანს გავიხსენებთ, რომლის გარდაცვალებაც ერთი ოჯახის, ერთი სანათესაოს, ერთი სახლობლოს სატიკვარს გასცდა და საყოველთაო ტრ-

ავდიად იქნა აღქმული. სამტრედიის დიდადა. დედა – ცნობილი, დამსახურებული ექიმი ქალბატონი გუგული კახაძე. მამა – ცნობილი პროფესორი – ბატონი აკაკი მშვიდლობაძე. სამშელოდან ტრავმული შემთხვევის გამო ნაადრევად წასულ კაცზე, ბატონ თემურ მშვიდლობაძეზე ვსურთ ამჯერად.

სამშელო სკოლის შემდეგ ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა და განაწილებით ნაღჩიის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა.

1981 წელს ახალგაზრდა ექიმი რეინიების სამტრედიის საავადმყოფოში ინიშნება თერაპიული განყოფილების გამგედ.

დროის მოკლე მონაკვეთში შეძლო თემურ ექიმმა კოლეგებისა და პაციენტების კეთილგანწყობის, პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვება, ყველაფერი

კი მისი უშუალოდ, პროფესიონალიზმის, სისადავისა და უბრალოების გამო. მომდევნო წლებში ბატონმა თემურმა წარმატებით დაასრულა მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურა.

1984 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, გამოქვეყნებული ჰქონდა სამეცნიერო შრომები. აი, ეს არის მხოლოდ მისი ბიოგრაფია.

... გუშინ იყო თითქოს ყველაფერი, არადა, ღამის სამი ათეული წელი გავიდა 28 წლის წინ ზაფხულის იმ ერთი ცხელი დღის შემდეგ, თითოეული სამტრედიელი რომ შესძრა უსამშელო ტკივილით.

საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა ექიმი თემურ მშვიდლობაძე, რომელსაც ბევრი, ბევრი სიყვარული მოტანა

შეძლო არა მარტო მშობლიური რაიონის, არამედ, სრულიად საქართველოსთვის.

“უშენოდ პერი აღარ გვყოფნის, მთის წყაროსავით ანგარა და წმინდა იყავი, თვითონ უბოროტოს სხვისგან ბოროტების ჩადენა ბავშვით გაოცებდა.

თუ მძიმე შემთხვევებში გვერდით გვედევნო ადარაფრის გვემხინოდა”. კეთილშობილთა თემურ მშვიდლობაძისადმი მიძღვნილ წლებისწინანდელ სლოგანის წერტილში, რომელსაც ხელს აწერენ ირინე დოვაძე, ნანა ცირეკიძე, ზალინა ბულკათი, ბაჩუკი შედანი, ლიანა შენგელია, დედოფალ მთელიაშვილი.

მიმდინარე წელს 65 წლისა გახდებოდა ბატონი თემური.

“ასსოვხართ, მამასადაძე, ცოცხლობთ” – დაღადებს ერთ-ერთი აღმოსავლური სიბრძნე.

ცოცხლობს, მარად იცოცხლებს თემურ ექიმი ჩვენს მეხსიერებაში.

## ვლადიმერ ხვედელიძის სწოვნა

2012 წლის 29 აგვისტოს გამთენიისას უმიხრო და უაზრო ე. წ. “ოპერაცია ლაფანგურის” ჩატარებისას დაჭრილი ჯარისკაცის მიშველების დროს გარდაიცვალა ჩემი შვილი, ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენის კავალერი, სპეცდანიშნულების ბატალიონის ექიმი ვლადიმერ ხვედელიძე. 5 წელი გავიდა მას შემდეგ, დრო ყველაფრის მკურნალიაო იტყვიან. დაახ, დრო ყველაფრის მკურნალია, ოღონდ, დაკარგული შვილის გამო გამოწვეული ტკივილის – არა. მხოლოდ შვილდაკარგულმა მამებმა და დედებმა იციან ეს.

არც ერთ ენციკლოპედიაში არ მოიხსენიება იმ უბოროტო ტკივილისა და აუწერელი გრძობის გადმოცემისათვის შესაფერისი სიტყვა, რომელსაც შენი გახსენებისას განვიცდით შვილი. ჯერ უაზრო მოძრაობას ვიწყებ, მერე სული მეკვრის, მკერდის არეში ტკივილს ვგრძობ, ყელში მეჭვინება და ბოლოს თვალებიდან “გაღმოდის” ბოლო. ამ ტკივილსა და განცდას ბოლო არ ექნება სიცოცხლის მანძილზე, მაღლობა ქართველ ხალხს ჩემი შვილის დატრეხვისთვის. მშვიდად იძინე მარადიულ სასუფეველში, შვილი. სანთელ-საგმეველს არ მოგაკლებთ.

**შენი უბოროტო მხატვრული მამა, დედა და და დინამიკური**

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძობს მის მაღალყოვალდუსამღვდელოესობას, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ მეუფე საბას მამის, ბატონი

**როინ ბიზიბერიას**

გარდაცვალების გამო.

მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ათანასე (რუხაძე) და ამავე ტაძრის მრევლი თანაუგრძობენ ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ საბა (გიგებერიას) მამის, ბატონი

**როინ ბიზიბერიას**

გარდაცვალების გამო. ღმერთმა დალოცოს და აცხოვნოს სული მისი!

ბეჟან გოგია თანაუგრძობს ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ მეუფე საბას მამის, ბატონი

**როინ ბიზიბერიას**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძობს იმა კერელებშიც

**შვილის**

გარდაცვალების გამო.


ლევან გაბეჩავა, მურად გელეიშვილი, შუქრი ურუშაძე თანაუგრძობენ ერისთავების ოჯახს

**გამზა ვახტანგის ძე პრისთავის**

გარდაცვალების გამო.



“განხილვა და სხუბრები” კონფუცი



“თეთრი გემი” ჩინგიზ აითმათოვი



“ჰარი პოტერი და ფილოსოფის ქვა” ჯონ რულინგი



“მართობის ასი წელნადი” გაბრიელ გარსია მარკესი

კულოცაპი

ნათია ნაცვლიშვილი!


მოსიყვარულე შეილი, ღირსეული მეუღლე, დედა, უღალატო, დასაყრდენი მეგობარი, ნიჭიერი, მზარდი, პროდუქტიული ჟურნალისტი, ერუდირებული ქალბატონი. ასეთი გახლავთ ჩვენი თანამოკალდე ნათია ნაცვლიშვილი, რომლის ლამაზ ბიოგრაფიას მეტ შნოსა და ლამაზს, ღირებულებას სძენს დედაქალაქში პრესტიჟულ ჟურნალ-გაზეთებში მრავალწლიანი მოღვაწეობა.

არც დღეს იფიქრებენ ყოფილი კოლეგები. შეკრება ჰქონდათ ამას წინათ "დილის გაზეთებს" და უმაღლესი მოსაყვარელი გაზეთის პოლიტიკური განყოფილების კორესპონდენტი, ამჟამად გაბედულ სიტყვას რომ ამბობს სამტრედიის რაიონულ გაზეთში.

ინტერესით ეცნობა "სამტრედიის მაგნი" მკითხველი ნათია ნაცვლიშვილის სტატიებს, პუბლიკაციებს, პროფესიონალის ხელი რომ ამჩნევია თითოეულს. წერს წიგნიერებასა და წიგნიერებზე, ინტელექტუალებზე, უბრალო მშრომელ ადამიანებზე. მისი სახით ჩვენს მხარდამხარ იღვწის ქალბატონი, რომელსაც შეუძლია სხვათა წარმატებით აღტაცება, სხვათა ნიჭის აღიარება.

ოჯახურ ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებებს, უფლის წყალობას უსურვებს იუბილარ ნათია ნაცვლიშვილს

სამტრედიის მაგნი



ჩვენი როლენ, მაგ შენს როლებს მართლაც არ ჰყოლია ტოლი, კიდევ დიდხანს გაგვაგონე ხმავეუგუნა ბარიტონი.



რუსუდან ხაჩიკიანს!

ჩვენი რუსო, ერთგული და საიმედო მეგობარი, ძალიან საყვარელი, სიმართლის ფასის მცოდნე და მისთვის მებრძოლი, გილოცავთ დაბადების დღეს. შენ ჩვენი რუსო იქნები ყოველთვის, სადაც არ უნდა იყო. გვეამაყები შენი ღირსებების გამო.

შენი ბედნიერება, სიხარული, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა გაახარებს შენს საყვარელ გაზეთს, გაზეთს, რომლისთვისაც ბევრი დამე ვითენებია, ბევრი გიბრძოლია. გაზეთს, რომელიც ისე გიყვარს, როგორც ჩვენი დიდი ოჯახის ყველა წევრს. კარგად გვეყოლე შენს საყვარელ ოჯახთან, შენს დედისერთა ნინიოსთან, მეგობრებთან და მოკეთებთან ერთად. რედაქცია არის ის ადგილი, სადაც ყოველთვის სიხარულით გვლიან.

სამტრედიის მაგნი

ანდრია ჯოჯოიას!

ჩვენი ანდრიუშა, ჩვენი ვარსკვლავიბუნა, გილოცავთ დაბადების დღეს, 4 წლის შესრულებას. სიყვარული, სიხარული, უღრუბლო ცა და ვარდისფერი მომავალი გქონოდეს. გაიზარდე ისეთი დიდი და სასახლო ვაჟკაცი, შენს მშობლებთან ერთად ჩვენც რომ გაგვახარებს!

მამი დედის ოჯახისგან



სოფო მიქაძეს და ზაზა კახტალიანს!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს და მეგობარს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელს, ელიზა ცხვირაგაშვილს ვულოცავთ ვაჟიშვილის დაოჯახებას.

ბედნიერებას უსურვებთ ბედნიერ წყვილს, ორ საუკეთესო ახალგაზრდას, სოფოსა და ზაზას. გაუხუნარი სიყვარული და გამრავლება გვინდა ვუსურვოთ ცხოვრების დიდ გზაზე. მეუღლეების მძიმე და საპატიო ჭაპანი ღირსეულად ეტარებინოთ!

სამტრედიის მაგნი

ვეფხია სტურუას!

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ვეფხია სტურუას ვულოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს ვუსურვებთ პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

სამტრედიის მაგნი




ფოტო ისტორიას ჰყვება

მამინ, როცა საშუალო და რეალური სკოლების მოსწავლეები საზაფხულო არდადეგებს ხალისიანად ატარებდნენ, სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორები, პედაგოგები საპროფორიენტაციო მუშაობას ეწეოდნენ. მსჯელობდნენ, მოსწავლეთა რა რაოდენობას მიიღებდა ესა თუ ის პროფესიული სასწავლებელი და ა. შ.

მსგავსი კოორდინირებული მუშაობის დადებითი შედეგები იმთავითვე თვალშისაცემი იყო და რაღა თქმა უნდა, დადებით, კეთილმეყოფელ გავლენას ახდენდა კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში.

სურათზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბეჭაიას მიერაა გადაღებული გასული საუკუნის 80-იან წლებში, აღბეჭდილი არიან, მარცხნიდან: სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ნეოლინა ჯიქიძე, მესამე საშუალო სკოლის დირექტორი თაღო მიაძე და კულაშის 92-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი იზოლდა ნადირაძე, ახალგაზრდობის საპროფორიენტაციო საკითხებისადმი მიძღვნილ რაიონულ თათბირზე.

ლევან ბაგჩაძე



სალომე კალაჩიანს კი ვუარვლიან!

ყოფილი ხის დამამუშავებელი კომბინატის თანამშრომლები: მერაბ არჩვაძე, გენო მიქაძე, რეზო ჩხეიძე, ჯუმბერ ივანიძე, ლევან პაპავა პატივისცემით გილოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს. იხარეთ, იღვებრძოლეთ საყვარელ ოჯახთან ერთად. უფალმა გაგაძლიერო!

რედაქციის მისამართი: სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბექან გოგია მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაგჩაძე პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაგჩაძე კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპავა